ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 2016 №297 (7222) ფასი: 50 თეთრი

## აფხაზეთი 15 დეკემბრის მოლოდინშია



ხაჯიმბა: „სახელმწიფო სტაბილურობას დაიცავს“

გვ.4

15 დეკემბრიდან
ძმები გრიმები
ფიფქია
მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „მომავალი წლის შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები ჩატარდება“



ნიკოლოზ მჟავანაძე: „ივანიშვილმა საკუთარ ნათესავებს არ აპატია შეცდომები და ამათ დაინდობს?“

გვ.2

„ქანთარია, მაღრაძე, ზოიძე, ქუმსიშვილი ერთმანეთს სისულელეების თქმაში ეჯიბრებიან“





## კობა ხაბაზი: „ნაციონალურ მოძრაობაში ვრჩები“

გვ.3 „ხელფასი არასდროს ამიღია“



გვ.4

## ნუკრი ქანთარია: „ლარი ოპოზიციისკენ გადაიხარა“

ზურაბ ჭიაბერაშვილი მთავრობას აქციებით აშინებს

„უნდა ვთქვათ სიმართლე, რატომ არის წინააღმდეგობა. ყველამ იცის, რომ ივანიშვილს უნდა, პარლამენტმა თვითონ აირჩიოს პრეზიდენტი და ეს არ იყოს საერთო-სახალხო საყოველთაო არჩევნები. ასეა ბევრ ქვეყანაში“

## სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებისთვის ვიზალიბერალიზაცია პოლიტიკური დივიდენდი იქნება“



გვ.5

## პეტრე მამრაძე: „მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატიც კი ვერ გახდება“

გვ.5



ISSN 1987-9385



## გიგა ბოკერია: „მაქვს ამბიცია, რომ მქონდეს გავლენა ჩემს პარტიაში“

გვ.3

# „მომავალი წლის შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები ჩატარდება“

შორენა მარსაგიშვილი

რას უნდა ველოდოთ ივანიშვილისგან, ვინ აპირებს მედიის მოსპობას, რა მიზნით დაახარისხა არასამთავრობოები, ვის აუსრულა ხელისუფლებამ ოცნებები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– 12 დეკემბერს პარლამენტის ხელმძღვანელობა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს შეხვდა. შეხვედრა სოროსის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული. ჩვენდა გასაკვირად, დეპუტატები მხოლოდ იმ არასამთავრობოებს შეხვდნენ, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინებით იყვნენ დაკავებული. სამაგიეროდ, არავინ შეხმიანებია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ.

ადრე არაერთხელ ვთქვი, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას ემსგავსება. ახლა ვიტყვი, რომ ეს პარტია სოროსის ოცნებად გადაიქცა. სოროსთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი მინდა გითხრათ. ეს კაცი საქართველოთი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაინტერესდა. ის ჩვენთან პირველად 1988 წელს ჩამოვიდა. მისი სტუმრობის შესახებ თავის წიგნში დეტალურად საუბრობს ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც იმ დროისთვის ცეკას პირველი მდივანი იყო. ამ პირველი ვიზიტიდან 28 წლის თავზე, სოროსმა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მის მიერ დაფრთიანებული ხალხი მოიყვანა. ამ ხალხს მხოლოდ იმ არასამთავრობოებთან სურს დიალოგი, რომლებიც სოროსის იდეების გამტარებლები არიან.

***– რატომ ფიქრობთ, რომ მხოლოდ ამ არასამთავრობოებთან აპირებენ საუბარს, სხვა დროს იქნება არასოროსისტულ არასამთავრობოებს შეხვდნენ დეპუტატები?***

– ეს იყო შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან და იქ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა მიეწვიათ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პარლამენტი სოროსის ბუდიდან გამოჩეკილებით არის სავსე, გასაგებია, რატომაც არ დაგვიძახეს ჩვენ.

თავად ეს შეხვედრა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შედგა. ამ კომისიაში მუშაობაზე უარს აცხადებენ ოპოზიცია და პრეზიდენტის ადმინისტრაცია. მუშაობაში არც სამოქალაქო სექტორი უნდა ჩაერთოს. ყველამ მარტო უნდა დატოვოს ეს ხელისუფლება, რომელიც სოროსის ოცნებად გადაიქცა და ისე მჭიდროდ ჩაეხუტნენ სოროსულ ასოებს, მეშინია, საერთო შვილი არ გაუჩნდეთ.

აქამდე ეს ორგანიზაციები ხელისუფლების ლანძღვა-გინებით იყვნენ დაკავებული. ახლა მათი მხრიდან კრიტიკაც კი აღარ ისმის, ან ვინ უნდა გააკრიტიკონ, თამარ ჩუგოშვილი ვიცე-სპიკერია, ნინო ლომჯარია აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილეა, ეკა ფოფხაძე სახალხო დამცველის ოფისში მუშაობს, ეკა გიგაურს მომავალ სახალხო დამცველად ამზადებენ.

***– ეკა გიგაურის სახალხო დამცველის პოსტზე წარდგენა გადაწყვეტილი ამბავია?***

– ამის შესახებ პირველი საჯარო განცხადება რამდენიმე კვირის წინ გავაკეთე. ეს ინფორმაცია არც გიგაურმა უარყო და არც – „ქართულმა ოცნებამ“. სოროსელების დაწინაურებას ეხ ხელისუფლება ძალიან ინანებს.



## „ქანთარია, მაღრაძე, ზოიძე, ქუმსიშვილი ერთმანეთს სისულელეების თქმაში ეჯიბრებიან“

***– რატომ ინანებს?***

– მრავალი მიზეზის გამო. პირველ რიგში, სანანებელი საკუთარი განცხადებები გაუხდებათ. თავი განათლებულებად მოაქვთ, ამ დროს სისულელეების თქმაზე კონკურსი აქვთ გამოცხადებული. ქანთარია, მაღრაძე, ზოიძე, ქუმსიშვილი ერთმანეთს სისულელეების თქმაში ეჯიბრებიან.

ამათი სულელური განცხადებების ციტირება შორს წაგვიყვანს, მაგრამ რამდენიმე მათგანს მაინც გავიხსენებ. საკუთარი თავის მტერი თუ არა ხარ, როგორ უნდა თქვა, რომ საწვავის გაძვირება ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ამას პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ამბობს. ბარემ ცომეული აკრძალეთ, ადამიანს ასუქებს.

იგივე ზოიძემ ისიც თქვა, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი ტაძართან მიგვიყვანსო. ენძელა მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ადამიანი თავისუფალია და შეუძლია, ტელევიზორზეც იქორწინოსო. ქანთარია გამოვიდა და კომბლეფობ ჯეჯელავას ამართლებს. ახალი სახე ხულორდავა ამბობს, ჩვენ და ნაციონალებს საერთო ინტერესები გვაქვსო.

რამდენიმე დეპუტატი ამბობს, მარიხუანის დეკრიმინალიზაციას დავუჭერთ მხარსო. ეს პარლამენტი ისედაც დაბოლილის შთაბეჭდილებას ტოვებს და კიდევ დაბოლება უნდათ? კიდევ კარგი, გამოვიდა სოფო კილაძე და ამის წინააღმდეგ გაილაშქრა.

არადა, ცოტა ხნის წინ, სოსო ჯაჭვლიანი იბიარდზე გაკეთებული განცხადების გამო კინაღამ მოკლეს. გოგი თოფაძე ლამის ჩაქოლეს, არადა ის კაცი იმას ამბობდა, რასაც დონალდ ტრამპი აცხადებს. წინა მოწვევის პარლამენტში მართლა ძალიან ბევრი სისულელე ითქვა, მაგრამ რაც ახლებმა ერთ კვირაში თქვეს, იმათ მთელი 4 წლის მანძილზე არ უთქვამთ. ამათი განცხადებები მარტო სასაცილო კი არ არის, დანაშაულებრივ ნიშნებსაც შეიცავს.

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ივანიშვილმა საკუთარ ნათესავებს არ აპატია შეცდომები და ამათ დაინდობს?“

***– დანაშაულებრივ ნიშნებს რატომ შეიცავს?***

– მშიერ ადამიანს რომ დასცინებ, დანაშაულია, აბა რა არის? ღარიბაშვილის და ივანიშვილისგან განსხვავებით, ამათ პულსზე ხელი არ უჭირავთ და ერთი რა ტაძრამდე მიიყვანთ არჩეული გზა, მალე ვნახავთ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ახალი წლების შემდეგ ხალხი ქუჩაში გამოვა და ამათ კაბინეტებიდან კომბლებით გამოყრის და მერე ჩაეხუტონ სოროსის გამოზრდილ არასამთავრობოებს.

ერთ სისულელესაც გავიხსენებ, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეს ეკუთვნის. ის ამბობს, ვენეციის კომისიის თანხმობის გარეშე კონსტიტუციაში არც ერთ ცვლილებას არ შევიტანთო. ახლა რა გამოდის, ვენეციის კომისიამ რომ გვითხრას, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა აღიარეთო, უნდა ვაღიაროთ? ან რას ჰქვია ვენეციის კომისიის მითითებების მიხედვით იმოქმედებენ, ეგენი ვენეციის კომისიამ აირჩია თუ ამ ქვეყნის მოსახლეობამ?

მათ დაავიწყდათ, რომ ხალხმა ივანიშვილის ხათრით აირჩია. ხალხმა საერთოდ არ იცოდა, ვინ იყო ხულორდავა, კილაძე, გუგულები და ენძელები. 2017 წელს საქართველოში ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები. არსებული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალია, რომ ამ დროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდება. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ თემაზე სერიოზულად მიდის საუბარი. შესაძლოა, „ოცნება“ სწორედ ამ არჩევნებმა გადაარჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხალხი დაამხობს.

ამ საფრთხეებს უკვე გრძნობენ და მედიის გაჩუმებასაც აპირებენ. ახლა შემოაქვთ კანონი ცილისწამებაზე. ეს კანონი თუ მიიღეს, იცოდეთ, საქართველოში მედია მოკვდება. ცილისწამების წინააღმდეგი მეც ვარ, მაგრამ ახალი რეგულაციების დაწესება არ უნდა მოხდეს. ახლაც არის რაღაც ჩარჩოები და უნდა მოხდეს მისი გამკაცრება.

***– რისი გამკაცრებაა დასაშვები?***

– სახელგამტეხი ინფორმაციების გავრცელებაზე მკაცრი სანქციები უნდა დაწესდეს. შოთა ფაფიაშვილის მიერ მომზადებული ცვლილებების მიღება თავისუფალ მედიას მოკლავს. შოთა ფაფიაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ლალი ფაფიაშვილის მამაა. ეს ფაფიაშვილები, ეტყობა, ახალი ხელისუფლებისთვის თავის მოწონებას ცდილობენ, ან რაღაც სხვა მიზეზია და მე არ ვიცი. „ქართულ ოცნებას“ კი შევახსენებ, რომ სიტყვის და გამოხატვის უფლება ყველას აქვს. თუ ეს ცვლილებები შევიდა, დეპუტატებიც ვერ გააკეთებენ განცხადებებს.

დეპუტატობაც უკვე ფორმალობა გახდა. ის ადამიანები, რომლებიც მართლა სამშობლოსთვის არიან გულანთებული, უმცირესობაში არიან და ვერაფერს გადაწყვეტენ. ამ პარლამენტში ბურთი და მოედანი სოროსის გამოზრდილების მხარესაა. ამ ბურთს სათავისოდ ვერ გამოიყებენ, საკუთარ კარში გაიტანენ ავტოგოლებს და ისედაც გაღიზიანებულ მოსახლეობას კიდევ უფრო გააღიზიანებენ. ხალხი კბილებს ილესავს, ზოგს კომბლებიც აქვს გამზადებული.

***– მოდით, ვადამდელი არჩევნების თემას დავუბრუნდეთ. ამბობთ, რომ ამ თემაზე სერიოზულად მიდის საუბარი და უფრო დეტალურად შეგიძლიათ გვითხრათ?***



– ხელისუფლების წარმომადგენლები ისეთ წვეტიან აზრებს აფრქვევენ, რომ შეუძლებელია, საქმე აქამდე არ მივიდეს. ამათი ქმედებებით თავად „ოცნების“ წევრები არიან უკმაყოფილო.

იყო ასეთი მსაჯი გურამ ასკაროღლი. საქართველოს ჩემპიონატზე მსაჯობდა. ერთხელ ვკითხე, როცა მთელი სტადიონი გაგინებს, არ გიჭირს მსაჯობა-თქო. მითხრა, რას ლაპარაკობ, რა მიჭირს, როცა მაგინებენ, ექსტაზში შევდივარ და უკეთესად ვმსაჯობო. ჩვენი დეპუტატები, ეტყობა, ხალხის გინებისგან სიამოვნებას ღებულობენ და ამიტომ იქცევიან ასე.

არ ვიცი, ვინ დაგვწყევლა, მაგრამ ყველა პარლამენტი წინაზე უარესია. ეს პარლამენტი კი ყველაზე საშინელია. თავის დროზე მიხეილ ყაველაშვილს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის უფლება არ მისცეს, რადგან დიპლომი არ ჰქონდა. პარლამენტში კი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. გამოდის, რომ პარლამენტში არაფრის ცოდნა არ არის საჭირო?

კარგად მახსოვს, ამ წლის დასაწყისში ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებული განცხადება. მან თქვა, ახალ პარლამენტში სპორტსმენები და მომღერლები ვერ მოხვდებიანო, ახლა ის პარლამენტის თავმჯდომარეა და დეპუტატებად სწორედ ეს ხალხი უზის. ისეთი დონის ფეხბურთელები არიან პარლამენტში, რომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს თამაშს მოუგებენ, მომღერალი ზაზა ხუციშვილი კი ეკონომიკაზე აკეთებს კომენტარებს.

ამათ სისულელეებს მართლა აღარ აქვს საზღვარი და ერთხელაც იქნება, მათ ამბავს ბიძინა ივანიშვილი მოიკითხავს და მერე მართლა ცუდად წაუვათ საქმე.

***– რატომ გგონიათ, რომ ცუდად წაუვათ საქმე?***

– ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ ნათესავებს არ აპატია შეცდომები და გადაცდომები და ამათ, მით უმეტეს, არ აპატიებს. იმან რომ აპატიოს, ხალხი აღარ აპატიებს.

# აკაკი ბობოხიძე: „ბატონებო, ამ ნანგრევებში თქვენც მოყევით!“



მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობის ჯინაზე ხმა ქვეყნის დაქცევას მისცეს – ბატონებო, ამ ნანგრევებში თქვენც მოყევით! – აღნიშნული განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრმა აკაკი ბობოხიძემ გააკეთა.

ბობოხიძემ მთავრობის ფინანსურ-ეკონომიკური ინიციატივები გააკრიტიკა და „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს მიმართა, რომ როდესაც ქვეყანაში შექმნილი პრობლემების ძიებას დაიწყებენ, გაიაზრონ, რომ შექმნილ მდგომარეობაზე გავლენა მათ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მოახდინა.

ბობოხიძემ ამავე კონტექსტში ისიც აღნიშნა, რომ „10 ლარად გაყიდული ხმის გამო“, არსებულ სიტუაციაზე პასუხს ისინიც აგებენ.

– სიგარეტზე აქციზის გაძვირების გამო, ადამიანები სიგარეტს თავს არ დაანებებ – უბრალოდ, იძულებული გახდებიან, უფრო იაფ და მდარე ხარისხის თამბაქოზე გადავიდნენ, რაც მათ ჯანმრთელობას კიდევ უფრო დააზიანებს. ადამიანებმა იმის ნაცვლად, რომ 2010 წლის მანქანა იყიდონ, იძულებული გახდებიან, იყიდონ 2005 წლის მანქანა ან კიდევ უფრო ძველი მანქანა, რომელიც უფრო დააზიანებს გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას. ნავთობპროდუქტებზე ფასების გაძვირების შემდეგ, ადამიანები იძულებული იქნებიან მანქანაში ჩაასხან არა მაღალი ხარისხის ბენზინი, არამედ ფასის გამო, დაბალი ხარისხის ნებზინი, რომელიც ასევე დააზიანებს გარემოს და დააზინებს იმ ადამიანებს, რომლებზეც ვითომ და, თქვენ ზრუნავთ.

განსაკუთრებით ცინიკური იყო რამდენიმე თანამდებობის პირის, მათ შორის ვიცე-სპიკერის განცხადება, (რომლის შემოსავლები, თუ საწვავსაც ჩავთვლით, შეიძლება 7 ათასს ლარამდეც ადის), რომ თურმე ფასები მხოლოდ უმნიშვნელოდ მოიმატებს.

ბატონებო, ის, რაც თქვენთვის, მათ შორის ჩემთვის, არის უმნიშვნელო მატება, არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი – თქვენთვის არის ეს პრობლემები უმნიშვნელო და არა რიგითი ადამიანებისთვის და პენსიონერებისთვის, – განაცხადა ბობოხიძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კობა ხაბაზი: „ნაციონალურ მოძრაობაში ვრჩები“

ნაციონალურმა მოძრაობამ პარტიის 20 წევრი დაფინანსების შემცირების მოტივით გაათავისუფლა. ამის თაობაზე განცხადება პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგო რატიანმა გააკეთა. გათავისუფლებულებს შორის არიან „თავისუფალი ზონის“ დამფუძნებელი კობა ხაბაზი, ასევე გოგა ონიანი.

კულუარული ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიასა და კობა ხაბაზს შორის სერიოზული დაპირისპირება იყო.

„თავისუფალი ზონა“ დღემდე მიხეილ სააკაშვილის დაქვემდებარებაში რჩება. პარტიიდან ხაბაზის და მისი თანამებრძოლების გამოშვება უკავშირდება თუ არა სააკაშვილის ფაქტორს, რა გეგმები აქვს „თავისუფალ ზონას“, რა დავალებები მიიღეს სააკაშვილისგან, ემზადებიან თუ არა მასშტაბური აქციებისთვის? – „ახალი თაობის ამ და სხვა კითხვებს „თავისუფალი ზონის“ დამფუძნებელი კობა ხაბაზი პასუხობს.

ნონა ცაბაძე

***– ბატონო კობა, ნაციონალური მოძრაობიდან 20 წევრი გამოგიშვეს. ოფიციალური ვერსია ასეთია, რომ დაფინანსების შემცირების გამო გადადგეს ეს ნაბიჯი. რა მოხდა რეალურად? გაჩნდა კულუარული ინფორმაციები, რომ რეალური მიზეზი სულ სხვაა. ასეა?***

– პირველ რიგში, მე ვარ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი უძველესი წევრი და ჩემი ცხოვრება ამ პარტიის გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია. აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია ჩემთვის ძიება, მიზეზები, ეს კულუარული იქნება თუ ოფიციალური. გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი პარტიაში ყოფნის მიზეზი არასდროს ყოფილა არც ხელფასი, არც თანამდებობა და არც სხვა სახის ანაზღაურება. მე ნაციონალურ მოძრაობაში ვიყავი და ვრჩები, იმიტომ, რომ მიმაჩნია, რომ ეს არის ძალა, რომელსაც შეუძლია პირველ რიგში დაასრულოს ივანიშვილის რეჟიმი და ასევე საქართველო დააბრუნოს დემოკრატიულ გზაზე!

***– მაშინ რა გახდა თქვენი გამოშვების მიზეზი?***

– ნამდვილად მიჭირს ამ თემაზე საუბარი, განსაკუთრებით მიჭირს, რადგან ეს შეეხება ჩემს სამსახურიდან გათავისუფლებას და ეს შეეხება ჩემს ანაზღაურებას. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მწყდება გული იმ წევრების გათავისუფლების გამოც, ვის ზურგზეც გადადიოდა პარტიის ძირითადი საქმიანობები.

***– პარტიაში ფინანსური პრობლემებიაო. თქვენ ამას ადასტურებთ?***

– არ მინდა ისე გამოვიდეს, თითქოს სამსახურის ან ხელფასის გამო პრეტენზია მქონდეს. ბუნებრივია, პარტიაში არის ფინანსური პრობლემები, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ასე არ უნდა წყდებოდეს. ნაციონალური მოძრაობა და გუნდი აგებულია არა ხელფასზე და სამსახურზე, არამედ ქვეყნის სიყვარულზე.

***– ეს გადაწყვეტილება მიიღო იმ გუნდმა, ვინც ამჟამად მართავს ნაციონალურ მოძრაობას. ასეა?***

– პარტიას ამჟამად ჰყავს იგივე ხელმძღვანელობა, რაც ჰყავდა ერთი წლის წინ, ორი წლის წინ.

***– საუბარია, რომ იქ ბოკერია განკარგავს სიტუაციას და სწორედ მასთან მოგივიდათ სერიოზული დაპირისპირება, რომ ბოკერიამ საქმეები გაგირჩიათ. ასე იყო?***

– მსგავს ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. აქ არის საუბარი განსხვავებულ შეხედულებებსა და პარტიის მომავალზე. საკმაოდ პრინციპული აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს. რაც შეეხება პარტიის მართვას, ვერ ვიტყვი, რომ სიტუაციას ბოკერია განკარგავს. თუ ავიღებთ პარტიის წევრებს, ავიღებთ ამომრჩევლებს, პარტიის მხარდამჭერებს, იქ არის ცალსახად ერთმნიშვნელოვანი პოზიცია, რომელიც არის მომავალზე ორიენტირებული – ეს არის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი პოლიტიკა.

**სააკაშვილისგან არანაირი მითითება არ მიგვიღია. ჩვენ აქციებს ყოველთვის ვმართავდით და კვლავაც გავაგრძელებთ ამას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს რეჟიმი დამღუპველია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ივანიშვილის რეჟიმი ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას**

რაც შეეხება განსხვავებულ მოსაზრებებს და ორად გაყოფილ პოზიციას, ეს არის ლიდერშიფში და, დიახ, ვადასტურებ, აქ არის აზრთა სხვადასხვაობა, პრინციპული აზრთა სხვადასხვაობა ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. 20 იანვარს დაგეგმილია მრავალათასიანი ყრილობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და იქ გაირკვევა ყველაფერი.

***– დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი თქვენსა და ბოკერიას შორის სწორედ ეს ყრილობა გამხდარა. ამაზე რას იტყვით?***

– მე ამ ყრილობას მხარს ვუჭერ, სწორედ პარტიის წევრები და ჩვენი მხარდამჭერები განსაზღვრავენ პარტიის მომავალს. იმას, თუ ვინ უნდა მართოს პარტია. მე დაგიდასტურეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არის. ეს ყრილობა არ უნდა ჩატარდეს ვიწრო, ჩაკეტილ წრეში. ეს უნდა იყოს ყრილობა, სადაც ყველაზე მთავარი ღირებულება, რაც პარტიას აქვს, არის მისი წევრები და მისი მხარდამჭერები და სწორედ მათ მიეცემათ საკუთარი აზრის გამოთქმის და პოზიციის დაფიქსირების საშუალება.

***– რას იტყვით „თავისუფალ ზონაზე“, რომლის დამფუძნებელიც ბრძანდებით? ყველასთვის ცნობილია, რომ „თავისუფალი ზონა“ აქტიურად თანამშრომლობს მიხეილ სააკაშვილთან. ითქვა, რომ მისგან სერიოზული დავალებები მიიღეთ. რას გეგმავთ და პარტიიდან თქვენს გამოშვებას ამ ამბებს ხომ არ უკავშირებთ?***

– არანაირი დავალება არ მიგვიღია მიხეილ სააკაშვილისგან. ხოლო რაც შეეხება იმას, არსებობს თუ არა გეგმები? დიახ, არსებობს, რომელთაც ძალიან მარტივი ფორმულა აქვს: დავასრულოთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი და ქვეყანა დავაბრუნოთ განვითარების სწორ გზაზე.

***– რა თანამდებობა გეკავათ პარტიაში და, თუ საიდუმლო არ არის, რამდენს შეადგენდა თქვენი ხელფასი?***

– ვმუშაობდი რეგიონალურ დეპარტამენტში. რაც შეეხება ხელფასს, გთხოვთ, არ გვინდა ამ თემაზე საუბარი, იმიტომ, რომ არასდროს ეს ხელფასი მე არ ამიღია. მთლიანად ჩემს ხელფასს ყოველთვის ვახმარდი „თავისუფალი ზონის“ იმ აქტივისტებს, რომლებიც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, გამომდინარე იქიდან, რომ „თავისუფალი ზონის“ ყველა წევრი, ვინც დასაქმებული იყო, ივანიშვილის რეჟიმის მიერ განდევნილია სამსახურიდან.

***– ანუ შეგიძლიათ ნაციონალურ მოძრაობაში უხელფასოდაც იმუშაოთ?***

– რა თქმა უნდა, შემიძლია და, რა თქმა უნდა, ვაგრძელებ მუშაობას. არსად არ მივდივარ.

***– ანუ თქვენ მაინც რჩებით პარტიაში, მიუხედავად იმისა, რომ შეგამცირეს?***

– განა მე ვგავარ იმ ადამიანს, რომელიც პარტიაში იმიტომ არის, რომ ხელფასს ღებულობს?! არა მარტო მე, არამედ ყველა ის წევრი, რომელიც იქნა გათავისუფლებული, ყველა რჩება პარტიის წევრად და აპირებს, ბოლომდე იბრძოლოს ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ.

***– თქვენ აცხადებთ, რომ იბრძვით ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა ასევე სერიოზული ბრძოლა გაქვთ პარტიის შიგნით.***

– რა თქმა უნდა, გვაქვს. არსებობს არა უბრალოდ განსხვავებული, არამედ ძალიან პრინციპული განსხვავება პარტიის მომავალთან დაკავშირებით და მთელ რიგ ამოცანათა შესახებ. აქ არის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა, ოღონდ ვაკონკრეტებ – არა რიგით წევრებს შორის, არა პარტიის მხარდამჭერებს შორის, არამედ ბრძოლაა პარტიის ლიდერშიფში.



**„ხელფასი არასდროს ამიღია“**

***– მიხეილ სააკაშვილმა თუ შეიტყო თქვენი განთავისუფლების შესახებ და თუ აპირებთ მასთან კონსულტაციებს?***

– რა თქმა უნდა, სააკაშვილი ყოველთვის საქმის კურსშია პარტიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ნაცმოძრაობა მისთვის ყოველთვის პირველ ადგილას იქნება.

***– „თავისუფალი ზონა“ გაზაფხულიდან მასშტაბური აქციებისთვის ემზადებაო. ასეა?***

– გაზაფხულიდან რატომ? ზამთარში არა? სეზონებს რა მნიშვნელობა აქვს. „თავისუფალი ზონა“, როცა საჭიროება იქნება, აქციებს მაშინ ჩაატარებს. ჩვენ არ მივცემთ ივანიშვილის რეჟიმს იმის უფლებას, რომ საქართველო გადააქციოს თავის დუქნად! სამარცხვინო ხელისუფლება ჰყავს დღეს ჩვენს ქვეყანას. ივანიშვილი საქართველოში ჩვენი ქვეყნის დაკნინების, ქვეყნის დაქცევის და დესტაბილიზაციის კერის შექმნის მიზნით არის მოვლენილი რუსეთის ხელისუფლების მიერ!

***– აქციების დაწყების შესახებ უკვე მიიღეთ მითითება სააკაშვილისგან?***

– სააკაშვილისგან არანაირი მითითება არ მიგვიღია. ჩვენ აქციებს ყოველთვის ვმართავდით და კვლავაც გავაგრძელებთ ამას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს რეჟიმი დამღუპველია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ივანიშვილის რეჟიმი ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას.

# გიგა ბოკერია: „მაქვს ამბიცია, რომ მქონდეს გავლენა ჩემს პარტიაში“

ნაციონალური მოძრაობის წევრი გიგა ბოკერია ჩიორა თაქთაქიშვილის ბრალდებას პასუხობს და აცხადებს, რომ რომელ არაფორმალურ მმართველობაზეა საუბარი, როდესაც იგი მოქმედი პოლიტიკოსი და საჯარო პირია.

ბოკერია ხაზს უსვამს, რომ ნორმალურია, როდესაც პარტიის შიგნით მწვავე დისკუსია არსებობს, მაგრამ მისთვის სამწუხაროა, რომ მისი კოლეგა, ოპონენტების მსგავსად, უსინდისო ბრალდებებს ისვრის.

– პარტიის შიგნით კონკურენცია და მწვავე კრიტიკა არის ნორმალური და ეს გამოარჩევს ნაციონალურ მოძრაობას, მაგალითად, „ოცნებისგან“, სადაც ივანიშვილს ბატონობის გარეშე ვერ იხსენიებენ, სადაც არ შეიძლება, რომ იყოს მწვავე დისკუსია.

სამწუხაროა, რომ ამ მწვავე დისკუსიას ახლავს თურმე ბინძური მეთოდები და ვწუხვარ, როდესაც ჩემი ზოგიერთი კოლეგა, ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მსგავსად, იგივენაირი ტალახის სროლას, იგივენაირი უსინდისო ბრალდებებს ისვრის, ზოგადად.

მე არაფორმალურ მმართველობაზე არ ვსაუბრობ. რაც შეეხება ამ აბსურდს, მე ვარ მოქმედი პოლიტიკოსი, საჯარო პირი, რომელ არაფორმალურ მმართველობაზეა ლაპარაკი?



მაქვს ამბიცია, რომ ვიყო აქტიური პოლიტიკოსი და მქონდეს გავლენა ჩემს პარტიაში და ჩემი პარტიის გარეთ, – აღნიშნა ბოკერიამ.

მედიანიუსი

# ანდრეს მამიკინსი: „საქართველოს მოქალაქეები ბიომეტრიული პასპორტებით უვიზო მიმოსვლას აპრილის ბოლოს შეძლებენ“



– აპრილის ბოლოს საქართველოს მოქალაქეები ბიომეტრიული პასპორტებით შეძლებენ უვიზო მიმოსვლას.

ამის შესახებ ქართველ ჟურნალისტებს ევროპარლამენტარმა ანდრეს მამიკინსმა განუცხადა.

ევროპარლამენტარის განცხადებით, დარჩენილია მხოლოდ ტექნიკური საკითხები.

მისივე თქმით, საქართველოსთან მიმართებაში შეთანხმებული ტექსტი მზად 7 აპრილს იქნება, 15 აპრილს კი გადაწყვეტილება შესაძლოა ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნდეს.

მამიკინსის განცხადებითვე, საქართველოს საკითხზე კენჭისყრა იანვარ-თებერვლის თვეში გაიმართება.

# გიგი წერეთელი: „თქვენი ლოგიკით, კარგია, ფასები საკვებ პროდუქტებზეც რომ იზრდება“?

– თქვენი ლოგიკით, კარგია ფასები საკვებ პროდუქტებზეც რომ იზრდება – ადამიანები ნაკლებს შეჭამენ და არ იქნება სიმსუქნე. ნაკლები პრობლემები ექნებათ ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

ამის შესახებ საპარლამენტო უმცირების წევრმა გიგი წერეთელმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილება.

როგორც წერეთელმა აღნიშნა, 2017 წლის ბიუჯეტით საქართველოს მოსახლეობა უფრო უარესად იცხოვრებს, ვიდრე დღეს ცხოვრობს.

– ის, რაც ამ ბიუჯეტში წერია, გვაჩვენებს ერთ რამეს, რომ მომავალ წელს ჩვენი მოსახლეობა იცხოვრებს უარესად, ვიდრე ცხოვრობდა დღეს. ეს ეხება ლარის კურსს, გადასახადების მატებას, ეს ეხება იმას, რომ პენსიები და სხვა სოციალური გასაცემლები არ იზრდება.

ამ პირობებში, ბუნებრივია, მოსახლეობას უფრო მეტად გაუჭირდება. მიუღებელია იმ ტიპის ახსნა საწვავზე გადასახადების მომატების შესახებ, რომ საწვავს ნაკლები ხალხი ჩაასხმამს და უფრო უკეთესი ეკოლოგია გვექნება. ამ ლოგიკით, მაშინ საკვებ პროდუქტებზეც კარგია, ფასები რომ იზრდება, იმიტომ, რომ ადამიანები ნაკლებს შეჭამენ და ნაკლები პრობლემები ექნებათ ჯანმრთელობის თვალსაზრისით, არ იქნება სიმსუქნე და ა.შ. ეს ხომ ასე არაა?



დეპუტატის თქმით, ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს ბიუჯეტი.

– ამ ბიუჯეტს ვერ ექნება მხარდაჭერა. ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს ბიუჯეტი, რომელიც დღესაა წარმოდგენილი. იმისთვის, რომ ქვეყანა წინ წავიდეს, მეტი ეკონომიკური თავისუფლება უნდა იყოს, – განაცხადა წერეთელმა.

ინტერპრესნიუსი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზურაბ პატარაძემ უმაღლეს საბჭოს მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა წერილობით წარუდგინა

აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ უმაღლეს საბჭოს მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა წერილობით წარუდგინა.

მოგვიანებით, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში ზურაბ პატარაძემ ბრიფინგი გამართა, სადაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის თანამდებობაზე ინგა შამილიშვილი, ხოლო აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად ზაალ მიქელაძე წარადგინა.

რაც შეეხება აჭარის სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებს, ამ თანამდებობებზე მყოფი რამაზ ბოლქვაძე და ლაშა კომახიძე რჩებიან განახლებული მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში.

განახლებულ მთავრობას აჭარის უმაღლესი საბჭო 7 დღის ვადაში განიხილავს.

ნიუსპრესი

# აფხაზეთი 15 დეკემბრის მოლოდინშია

## ხაჯიმბა: „სახელმწიფო სტაბილურობას დაიცავს“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ოპოზიციური ძალების ბლოკი აპირებს 15 დეკემბერს დიდი სახალხო ყრილობის მოწვევას სოხუმში. მანამდე ოპოზიციამ მოითხოვა დე ფაქტო პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას გადადგომა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დიდი აქციით დაიმუქრა.**
**ხაჯიმბამ ვადამდე გადადგომაზე უარი განაცხადა. იგი 15 დეკემბერს კონტრაქციის ჩატარებასაც გეგმავს. რაულ ხაჯიმბამ მოსახლეობას მიმართა:**

– სახელმწიფო დაიცავს სტაბილურობას და სამართლებრივ წესრიგს, ჩვენი მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს. ქვეყანაში სიტუაციის გაუარესებას და განვითარების პერსპექტივების დაკარგვას არ დავუშვებთ.



ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ოპოზიციას შეუძლია თავი გამოიჩინოს 2017 წლის მარტში საპარლამენტო არჩევნებში, პოლიტიკის ექსტრემალური ფორმები კი ყველას ასუსტებს.

მან ხალხს მოუწოდა, შეინარჩუნოს სიმშვიდე და არ აჰყვეს პროვოკაციებს.

აქციების მოლოდინში ბრიფინგი ჩაატარეს ხაჯიმბას მოწინააღმდეგეებმაც. მათ შორის იყო ოპოზიციური ძალების ბლოკის თანათავმჯდომარე ასლან ბჟანია. ბჟანია თითქმის ორი კვირის წინ ქალაქ სოჭში მას შემდეგ დააკავეს, რაც ოპოზიციამ ხაჯიმბას გადადგომა მოითხოვა. ბჟანიას თანამოაზრეების აზრით, ეს ხაჯიმბას ჩარევით მოხდა.

– არავინ მოუწოდებს ხალხს უკანონო მოქმედებებისაკენ. სახალხო შეკრება დემოკრატიის ინსტრუმენტია და მომწიფდა დრო, რომ ხალხმა ხმამაღლა გამოაცხადოს თავისი მოთხოვნები, – აღნიშნა ასლან ბჟანიამ.

ირინა აგრბას შეფასებით, ხელისუფლება არაადეკვატურად რეაგირებს რეალობაზე. ხაჯიმბა მართავს „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით, მისი პოლიტიკა ანტიხალხურია.

დიმიტრი დბარისათვის მიუღებელია ოპოზიციის დადანაშაულება სისხლისღვრის მცდელობაში:

– ოპოზიცია შეკრებაზე არ მივა იარაღით. ის არ აპირებს მინების ჩამსხვრევას და კარების მტვრევას. თუ ვინმეს უნდა სავარძლის გამო სისხლის დაღვრა, ამაზე ხალხს რეაქცია ექნება. სწორედ ხელისუფლება აიარაღებს თავის მომხრეებს. ძალოვან სტრუქტურებში სამსახურში აჰყავთ კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები, რაც დანაშაულია.

ვიაჩესლავ ჩირიკბას განცხადებით, აფხაზეთში მოვლენები პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისაკენ მიექანება. დაგეგმილი თავყრილობა საშუალებაა იმისათვის, რომ ხალხმა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება შექმნილი მდგომარეობის მიმართ.

–შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია მოლაპარაკებათა სხვა ფორმატი. ერთ მხარეს უნდა იყვნენ პრეზიდენტი და მისი მომხრეები, მეორე მხარეს კი – ოპოზიციის ლიდერები. ამ ინიციატივით გამოდის აფხაზეთის საზოგადოებრიობა.

საზოგადოების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 15 დეკემბერს ორი აქციის დანიშვნა მიუთითებს, რომ დიალოგი მხარეებს შორის ვერ შედგა.

ამ დიალოგის შუამავლობა რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის პარლამენტმა იკისრა. შემოთავაზებას გამოეხმაურა ოპოზიცია. გაიმართა ორი შეხვედრა პარლამენტის დეპუტატებსა და ოპოზიციონერებს შორის. გადადგომაზე კიდევ ერთი უარის მიღების შემდეგ ოპოზიციამ მოითხოვა მთავრობის ეკონომიკური და სოციალური ბლოკის ფორმირების უფლება. მეორე მოთხოვნა იყო ოპოზიციის კანდიდატურების წამოყენება გენპროკურორის პოსტზე და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების ორ ადგილზე. ხაჯიმბა ბოლო ორი წინადადების განხილვას დათანხმდა. თუმცა, ამით ვითარება არ განმუხტულა. ოპონენტების აზრით, ხაჯიმბა არაა მზად კომპრომისისათვის.



**ასლან ბჟანია: „უკანონო მოქმედებებისაკენ ხალხს არავინ მოუწოდებს“**

# ნუკრი ქანთარია: „ლარი ოპოზიციისკენ გადაიხარა“

## ზურაბ ჭიაბერაშვილი მთავრობას აქციებით აშინებს

შორენა მარსაგიშვილი

**საკანონმდებლო ორგანოში ისევ ბიუჯეტის თემაზე მიდის წივილ-კივილი. დეპუტატების ვაი-უშველებელს გარედან ბანი ავტოიმპორტიორებმა მისცეს. დეპუტატ ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, მთავრობის წინააღმდეგ აქციებს ასი ათასობით ადამიანი გამართავს.**

– მინდა დღევანდელ უმრავლესობას, კვირიკაშვილის მთავრობას, ბიძინა ივანიშვილს ვუთხრა, თუ 14 დეკემბერს რამდენიმე ასეული ადამიანი მოვიდა ამ პარლამენტის შენობასთან, ასეულ ათასობით ადამიანი გამოვა ამ პარლამენტის წინაც და თბილისშიც, რუსთაველზე. ადამიანებს ურთულებენ, უძვირებენ ცხოვრებას იმ უგუნური ნაბიჯებით, რაც არის, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მისივე განცხადებით, ნაციონალურმა მოძრაობამ მთავარი საფინანსო დოკუმენტი მონათლა და მას ხალხის კიდევ უფრო გაღარიბების ბიუჯეტი უწოდა.

დეპუტატის განცხადებით, ახლა ქვეყანას სჭირდება გადასახადების დაწევა და არა აწევა.

იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ წევრებისთვის რეალობის შეგრძნება დაებრუნებინა, დეპუტატმა გრაფიკი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, ფასები პროდუქტებზე გაზრდილია.

მისმა თანაპარტიელმა ირმა ნადირაშვილმა მთავრობის ლარიზაციის გეგმას ცინიზმი უწოდა. მისთვის განსაკუთრებით ის ფაქტია მიუღებელი, რომ გაჭირვებულმა ხალხმა მინისტრებს უნდა დაუფაროს კრედიტები.

– თქვენ შემოგვთავაზეთ, რომ სესხები დოლარიდან გადავიდეს ლარში. გიორგი კვირიკაშვილს, კახი კალაძეს, მიხეილ ჯანელიძეს, სოზარ სუბარს, ალექსანდრე ჯეჯელავას, ტარიელ ხეჩიკაშვილს, თეა წულუკიანს, ვიქტორ დოლიძეს – ამ ადამიანებს ყველას აქვს კრედიტი. ამ ადამიანების ვალები დოლარიდან ლარში უნდა გადავიდეს და ჩვენ უნდა დავფაროთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს. ნორმალურია, ადამიანები, რომლებიც თავისი შვილებისთვის პურს ვერ ყიდულობენ, გიორგი კვირიკაშვილის და ქუმსიშვილის ვალებს იხდიდნენ?! – განაცხადა აღშფოთებულმა ირმა ნადირაშვილმა.



ბიუჯეტის პროექტს წუნი პატრიოტთა ალიანსის წევრებმაც დასდეს.

ვიცე-სპიკერ ირმა ინაშვილის განცხადებით, მისი თანაფრაქციელები ამ ბიუჯეტს მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ.

როგორც ინაშვილი ამბობს, ხელისუფლებას არ აინტერესებს, რა ვითარებაა ქვეყანაში.

– გამოდის ფინანსთა მინისტრი და გვეუბნება, რომ გადავედით ციფრულ ეკონომიკაზე, აყვავდა ცხოვრება, რეფორმები წარმატებულია. ეტყობა, ფანჯარას არ აღებენ, გარეთ რომ გაიხედონ და შეხედონ, რა ვითარებაა, რა დონეა სიღატაკის. მე ვერ მოვისმინე, ვერც ჩემმა გუნდმა მოისმინა, როგორ უნდა გადაწყდეს სიღარიბის და დასაქმების პრობლემა ამ ქვეყანაში. ამაზე არავინ ლაპარაკობს.

აბრახუნებენ ციფრებს. საუბარია რაღაც ოპტიმისტურ პროცენტებზე და ამასობაში ჩვენ ვხედავთ, რომ უამრავი ადამიანი ახალი წლის წინა დღეებში დარჩება უსახლკაროდ, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ბანკების მძევლები არიან. ამიტომ ამ ბიუჯეტს არ დავუჭერთ მხარს, – ამბობს ინაშვილი.

მისი თქმით, ის და ალიანსელები პასუხისმგებლობას არც ბიუჯეტში მოყვანილ გაუგებარ ციფრებზე აიღებენ.

◆ ◆ ◆

რადიკალურად განსხვავებულია მმართველი გუნდის წევრების მოსაზრება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური ამტკიცებს, რომ მთავრობა ასეულობით ათასი სამუშაო ადგილის შექმნას აპირებს.

– სივრცითი მოწყობის გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებამ 200.000 სამუშაო ადგილი უნდა შექმნას, – აღნიშნა ბიუჯეტის პროექტით მოხიბლულმა ძიძიგურმა.

მისი ინტერესის სფეროში ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურული პროექტებია. მიაჩნია, რომ ამ პროექტების განხორციელება ყველას ინტერესებში უნდა შედიოდეს.

– ისმის კითხვები, ააშენებთ 800 კილომეტრიან ავტობანს, თუ ვერაო. 200 კილომეტრამდე აშენდა ამ 4 წლის განმავლობაში. ოთხჯერ უფრო მეტად არის დასაჩქარებელი ეს ტემპები და გასაკეთებელია. ძირითადი აქცენტები გადავა ინფრასტრუქტურის სამინისტროზე. მე ვფიქრობ, ყველა ჩვენგანი, გულშემატკივრებიც და დაინტერესებულებიც, დაინტერესებული უნდა ვიყოთ, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად, რა ხდება ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ეს პროექტები. ეს პროექტები – 820 კილომეტრი ავტობანი – განხორციელდება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, – ამბობს ვიცე-სპიკერი.

მისი თქმით, თუ ამ ყველაფრის განხორციელება არ მოხდა, ნაციონალურ მოძრაობას 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებში შეიძლება შანსი გაუჩნდეს.

ოპოზიციის კრიტიკას დეპუტატი დიდ ყურადღებას არ აქცევს. ამბობს, რომ რაც უნდა ყოფილიყო, ისინი მაინც დაიწუნებდნენ პროექტს.

– ნორვეგიის ბიუჯეტის მსგავსიც რომ წარედგინა მთავრობას, ოპოზიცია მხარს მაინც არ დაუჭერდა, რადგან ეს არის პოზიცია-ოპოზიციის განმსაზღვრელი საკითხი, – აღნიშნა „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

ერმა ამ დღეებში ბევრი სკანდალური და ტანში გამაჟრიალებელი განცხადება მოისმინა, მაგრამ ნუკრი ქანთარიამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მან ეროვნული ვალუტა ღალატში დაადანაშაულა და თქვა, რომ ლარი ოპოზიციისკენ გადაიხარა.

– ჩვენ ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან და არცთუ უხიფათო ეტაპზე ვდგავართ. ლარი, დღევანდელ დღეს, ვიზუალურად რომ ვთქვათ, ოპოზიციისკენ გადაიხარა. დღესაც ჩანს აქ, როგორ სულმოუთქმელად ელოდება ძალიან ბევრი, როდის გადაეხვევა ლარი კუპონს, რისიც თვითონაც არ სჯერა, მაგრამ ამის ამაო მოლოდინი არის მათი მხრიდან, – ამბობს დეპუტატი.



მისი თქმით, ხელისუფლებამ თავის თავზე დიდი ტვირთი აიღო და ქვეყნის გადასარჩენად არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიიღო.

– ხელისუფლებამ გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნია არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა. ვგულისხმობ აქციზების დაწესებას და ა.შ. ეს კიდევ დამატებით ფანტაზიებს ულვივებს ოპონენტებს და ჯოჯოხეთისა თუ ჰიჩკოკის ატმოსფეროს მიმართულებით ხატავენ ყველაფერს.

რა თქმა უნდა, არის გარკვეული რისკები და ვფიქრობ, აქ გამოსავალი მაქსიმალური კომუნიკაციაა ჩვენი მხრიდან ამომრჩეველთან და ზუსტად ახსნა არა იმის, რომ ეს ყველაფერი შემდეგ აუცილებლად ეკონომიკურ სიკეთეში და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაში გადავა, არამედ რამდენ თვეში, როგორ, რა ტენდენციები გამოიკვეთება, რათა მოსახლეობამ, ჩვენმა ამომრჩეველმა თვალი გაუსწოროს ამას და არა აქედან წამოსულ იმ შავ და მუქ ფერებს, ასეთი ნერწყვისყლაპვით რომ ისმის ზოგჯერ, – განაცხადა ქანთარიამ.

მისივე თქმით, იმას, რასაც ახლა ხელისუფლება აკეთებს, გაბედვა უნდა.

– შეიძლებოდა ნელთბილად ყოფნა ეს 4 წელიწადიც, მაგრამ ის, რომ ეს ყველაფერი პერსპექტივაზეა გათვლილი, ამის მიტანა გვმართებს მოსახლეობასთან, – დაასკვნა დეპუტატმა.

◆ ◆ ◆

გუშინ პარლამენტმა 102 ხმით 10-ის წინააღმდეგ 2017 წლის ბიუჯეტი მიიღო.

# საპატრიარქოს ფონდ „ივერიისას“ ხელმძღვანელი შეუცვალა



საქართველოს საპატრიარქო ფონდ „ივერიისას“ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ფონდი, რომელსაც პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობდა, საზოგადოებად ჩამოყალიბდა.

საზოგადოება „ივერიის“ წარდგინება 17 დეკემბერს, ბარბარობას, მახათას მთაზე მოხდება.

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2010 წელს დაარსებული ფონდი „ივერიისა“ უკვე მეექვსე წელია მახათას მთაზე ანხორციელებს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

2015 წლის დეკემბრამდე ფონდს ხელმძღვანელობდა ბატონი პაატა ბურჭულაძე, რომელმაც ბევრი გააკეთა მისი წარმატებით ფუნქციონირებისათვის; მაგრამ მან, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის გამო, პირადი სურვილით დატოვა ეს ორგანიზაცია.

ფონდის ხელმძღვანელობა დაეკისრა ბატონ გიორგი თავაძეს და მოხდა მისი რეორგანიზაცია. იგი გადაკეთდა საზოგადოებად, რომლის დამფუძნებლებიც ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები არიან. ა.წ. 17 დეკემბერს, ბარბარობა დღეს, მოხდება საზოგადოება „ივერიისას“ წარდგინება მახათას მთაზე. 12:00 საათზე კი უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გადაიხდის პარაკლისს, დალოცავს ბავშვებს და სრულიად საქართველოს.

ამ დღეს პირველად დაირეკება მახათის მთის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ზარები, – ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებისთვის ვიზალიბერალიზაცია პოლიტიკური დივიდენდი იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ვიზალიბერალიზაციას პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

***– ბატონო სოსო, ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– პოლიტიკური თვალსაზრისით ვიზალიბერალიზაცია ძალზე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო ევროპისკენ მიმავალ გზაზე მიდის და ამ გზაზე არის წარმატება. რამდენად მოხდება ამ მიღწევის მატერიალიზაცია რიგითი მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ ეს მხოლოდ სიმბოლოდ დარჩება, ამაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ.

პოლიტიკური ელიტისთვის, ბიზნესელიტისთვის ევროპაში გადაადგილება, სწორედ ვიზების კუთხით, პრობლემა არც არასდროს ყოფილა. აქ საუბარია რიგით მოქალაქეზე, იმაზე, რომ მან დაამყაროს კონტაქტი ცივილიზებულ სამყაროსთან, გავიდეს ქვეყნიდან და ნახოს ევროპა.

***– ამ გადაწყვეტილებას ხომ არ აკნინებს მძიმე სოციალური ფონი, რაზეც არის ხშირად აპელირება?***

– არამც და არამც. ეს არის გზა, რომლისკენაც უნდა ვიაროთ შეუფერხებლად. სწორედ ამ გზაზე მიღებული წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მიმართულებით და მნიშვნელოვანია განსაკუთრებით პოლიტიკური თვალსაზრისით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დგება დღის წესრიგში: უფლებები და მოვალეობები. ჩვენი მამაპაპური ტრადიციით მხოლოდ უფლებებს განვიხილავთ და მოვალეობებზე ყოველთვის თვალს ვხუჭავთ.

***– ბატონო სოსო, თქვენ პოლიტიკური მნიშვნელობა ახსენეთ, კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– მე ამ შემთხვევაში ვიგულისხმე ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვითარება, როდესაც ხელისუფლებას ძალიან უჭირს, მას არ აქვს გარღვევა, ლარის კურსი დაეცა, უმუშევრობა მწვავედ დგას, ამ ფონზე რაღაც წარმატება ნებისმიერი ხელისუფალისთვის არის საშური საქმე.

როდესაც საშინაო ფრონტზე ძალიან მწირია წარმატებები, საგარეო ფრონტზე ჩვენ ვხედავთ ზედიზედ პოლიტიკურ წარმატებას. ცალსახაა, რომ ვიზალიბერალიზაცია პოლიტიკური დივიდენდი იქნება ამ ხელისუფლებისთვის. პირველი წარმატება იყო ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო არ გასულა, ეს მართლაც დიდი წარმატება ხალხმა დაივიწყა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ რიგითი მოქალაქე ასოცირების ხელშეკრულებიდან მისთვის ხელშესახებ სიკეთეს ვერ გრძნობს და ამიტომ მალევეც დაივიწყა.

***– იგივე მოხდება ამ შემთხვევაშიც?***





– არა, მე წინასწარ მინდა ხელისუფლებას ვუთხრა, რომ ძალიან ბევრია გასაკეთებელი კიდევ, რათა ეს სიკეთეც დავიწყებას არ მიეცეს. თუმცა, აქვე უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი და ამას არავინ არავის დაუკარგავს.

***– ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე რამე დატვირთვა ექნება ამ წარმატებას?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. იმ ფონზე, რა მოვლენებიც განვითარდა ამ ბოლო დროს ევროკავშირში, ჩვენი ევროკავშირში შესვლის საკითხი სულ უფრო მითად იქცევა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ევროკავშირი დაიშალოს, მაგრამ რომც დაიშალოს, ჩვენ მაინც ვიძახდეთ იქნება, ევროკავშირში გვინდა და ოდესღაც მიგვიღებენ.

***– უკრაინასთან ერთ პაკეტში ჩვენი მოქცევა რამდენად არის ამ კუთხით ხელსაყრელი?***

– არ არის ხელსაყრელი. ჰოლანდია უკვე აცხადებს, რომ თუ უკრაინასთან ერთად არ იქნება საქართველო, მე მხარს დავუჭერო. ჰოლანდიას ვეტოს უფლება აქვს. ძალიან რთული მდგომარეობაა დღეს ევროპაში. მიგრანტების კრიზისი მძიმე ტვირთად აწევს და კიდევ კარგა ხანს დააწვება ევროპას. მას ტერორიზმის სერიოზული პრობლემა უდგას, ამ ფონზე ჩვენი საკითხი არ არის პრიორიტეტი.

***– ვიზალიბერალიზაციის ჩამორთმევის საფრთხეზეც მინდა გკითხოთ.***

– ეს ძალიან სერიოზული საფრთხეა. ამიტომ ევროპასთან ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი, ბატონი დოლიძე, არც ერთ წუთს არ უნდა კარგავდეს და ყველას უნდა უხსნიდეს, რა მოვალეობები აქვთ ჩვენს მოქალაქეებს. მაგალითად, ისრაელთან გვაქვს ჩვენ უვიზო მიმოსვლა, მაგრამ იცით, რამდენ ადამიანს აბრუნებენ უკან? ძალიან დიდია ეს მაჩვენებელი.

ევროპის სკეპტიკოსი ქვეყნები, ბებერი ევროპა – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია ცდილობდნენ, რაც შეიძლება მკაცრი ყოფილიყო შეჩერების მექანიზმი. უნდა მოხდეს დეტალურად განმარტება საზოგადოებისთვის, თუ რა არის შეჩერების მექანიზმში ჩადებული.

# პეტრე მამრაძე: „მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატიც კი ვერ გახდება“

გულიკო ბალაძე



პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ საკონსტიტუციო კომისიასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზე საუბრობს.

***– ბატონო პეტრე, საკონსტიტუციო კომისიის შექმნა პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთბრალდებების მიზეზი გახდა, რადგან პარლამენტმა შექმნა კომისია და პრეზიდენტი თანათავმჯდომარედ არ დაამტკიცა. მარგველაშვილი უარს ამბობს კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

– განვითარდება უპრობლემოდ, მაგრამ მანამდე უნდა ვთქვათ სიმართლე, რატომ არის წინააღმდეგობა. ყველამ იცის, რომ ივანიშვილს უნდა, პარლამენტმა თვითონ აირჩიოს პრეზიდენტი და ეს არ იყოს საერთო-სახალხო საყოველთაო არჩევნები. ასეა ბევრ ქვეყანაში.

***– სააკაშვილმა კონსტიტუცია იმდენი ჭრა და კერა და პრეზიდენტის ინსტიტუტი იმდენად დაამცრო, ახლა, მგონი, ველარც არკვევენ, რა როგორ არის და როგორ სჯობს.***

– მსოფლიოში აპრობირებულია საპარლამენტო რესპუბლიკების კონსტიტუციები. საპარლამენტო რესპუბლიკებში პრინციპი ყველგან ერთი და იგივეა, პრეზიდენტი ამ დროს ძირითადად წარმომადგენლობითი და უზენაესი არბიტრის ფუნქციის მქონეა. მრავალი ასეთი ქვეყანაა და ჩვენ არც კი გვახსოვს იმ ქვეყნების პრეზიდენტების გვარი.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ პრეზიდენტი ხელოვნურად ქმნის წინააღმდეგობებს?***

– თავის დროზე სააკაშვილმა კონსტიტუცია რომ ჭრა და კერა, არც საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონსტიტუცია დატოვა, არც საპარლამენტო კონსტიტუცია შექმნა. უსუფაშვილმა თვეების წინ კარგად თქვა, რომ ჩვენ ვართ ზესაპრემიერმინისტრო მმართველობის ქვეყანა. სააკაშვილმა შექმნა უნიკალური კონსტიტუცია, რომლის ანალოგი არ არსებობს.

***– თავისთვის შექმნა.***

– დიახ. სააკაშვილი ფიქრობდა, ვინც თვითონ უნდოდა არაფრისმაქნის და მორჩილ პრეზიდენტად, მას დასვამდა, რომელიც ისევე შეასრულებდა დავალებას, როგორც მერაბიშვილის დავალებას ასრულებდნენ პრემიერი გილაური თუ პარლამენტის ნებისმიერი თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე თუ სხვა. მერაბიშვილი კი არა მერაბიშვილის მოადგილეები ურეკავდნენ მათ, დავალებას აძლევდნენ. თავის თავს ის პრემიერმინისტრად ხედავდა. ამიტომ შექმნა ეკლექტური სისტემა, სადაც ერთი მხრივ, პრეზიდენტი ფორმალურად უმაღლესი მთავარსარდალია, მეორე მხრივ, არანაირი რეალური უფლება არ აქვს – საზღვარგარეთ ვერ წავა, თუ მთავრობა არ დაეთანხმა.

***– განცხადებებს მისი სახელით ავრცელებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. აცხადებენ, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს ფართო ჩართულობისა და კონსენსუსის საფუძველზე.***

– ამაში იგულისხმება მხოლოდ ერთი რამ – როგორც მითხრეს, პირადად მარგველაშვილს უნდა, რომ დარჩეს საერთო-სახალხო არჩევნები, ვინაიდან მას ჰგონია, რომ ისევ აირჩევენ პრეზიდენტად.

***– საპარლამენტო წარმომადგენლობას მარგველაშვილის შეთავაზება რომ გაეთვალისწინებინა და საკონსტიტუციო კომისიის თანათავმჯდომარე ყოფილიყო, მაშინ ცვლილებების განხორციელება ნებისმიერი მიმართულებით გაძნელდებოდა?***

– არ გაძნელდებოდა, მაგრამ ხმაური და სკანდალი მეტი იქნებოდა. მეორეც – არ გამიგია, პრეზიდენტი საკონსტიტუციო კომისიაში თანათავმჯდომარე იყოს.

რა დგას ამის უკან? ამის უკან დგას ის, რომ ივანიშვილს უნდა, რომ შემდეგი არჩევნები იყოს პარლამენტის წიაღში და სრულიად მართული იქნება პროცესი – ვისაც დაადებენ ხელს, ის გახდება პრეზიდენტი. ისევე, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა თქვა, მინდა მარგველაშვილი იყოს პრეზიდენტიო და ხალხმა მარგველაშვილს ხმა მისცა ივანიშვილის ხათრით.

***– ანუ მომავალში ისეთი უფლებების მქონე პრეზიდენტი იქნება, როგორიც არის სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივ საპარლამენტო მმართველობის პირობებში?***

– რა თქმა უნდა. მე ინსტიტუციურად ვუდგები და არა – პიროვნულად. ინსტიტუციურად სწორია – საქართველო უნდა გადავიდეს კლასიკურ საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე. პარლამენტი უნდა ირჩევდეს პრეზიდენტს ან ზოგჯერ პარლამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურები მონაწილეობდნენ. ეს იყო ვახტანგ ხმალაძის წინადადება.

***– პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებებში ბევრი რამ არის ეჭვის ქვეშ დაყენებული. მათ შორის, თვით საკონსტიტუციო კომისიის ლეგიტიმაციის საკითხიც. საკონსტიტუციო კომისია უნდა იქმნებოდეს საყოველთაო კონსენსუსისა და კონსულტაციების საფუძველზე, ანუ თავიდანვე ეჭვია გაჩენილი.***

– მხოლოდ ამის გამო, სხვა საფუძველი არ აქვთ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებს უარს არავინ ეუბნება, ჩაერთონ კომისიაში.

***– მე მგონი, პრეზიდენტს უნდოდა, პირადად, უშუალოდ ყოფილიყო კომისიაში და მის მუშაობაში მონაწილეობა მიეღო.***

– თუ უნდოდა, ეს ავლენს მის პირად დაინტერესებას.

***– პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომელიც მარგველაშვილის პოზიციას ახმოვანებს, ასეთი ფორმულირება აქვთ მისადაგებული ამ ყველაფერზე, რომ ქართულ კონსტიტუციონალიზმს აქვს კონკრეტულ ადამიანებსა და კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებზე მორგების სამწუხარო ტრადიცია. ეს რომ ავიცილოთ, ამის ერთადერთი საშუალებაა ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმების ამუშავებაო.***

– როგორიც უნდა იყოს რეალური მოტივი, მარგველაშვილი სხვანაირად არც იტყოდა. თუმცა, ფრაზა ნამდვილად სწორია. ჩვენ ამას მოვესწარით სააკაშვილის დროს, ჯერ კიდევ 2004 წელს.

***– შეიძლება მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს?***

– გუნდში ტრიალებს ფრაზა, რა ვქნათ, პარლამენტს ქუთაისიდან თბილისში ველარ გადმოვიტანთ იმიტომ, რომ ივანიშვილმა თქვა, იმერლებს ვერ ვაწყენინებო.

***– ვინ თქვა ეს?***

– „ქართული ოცნების“ გუნდში ყველამ იცის. თუ აკვირდებით, გაისუსნენ, „ოცნების“ წარმომადგენლები აღარ საუბრობენ პარლამენტის თბილისში გადმოტანაზე. საკმარისი იყო გავრცელებულიყო აზრი. ბიძინამ ეს ან თქვა, ან არ უთქვამს, მაგრამ გუნდში გავრცელდა აზრი. არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც თქვა. ამ საკითხზე საუბარს გუნდის წევრები ერიდებიან, დამიჯერეთ.

***– მარგველაშვილის ფიგურას პრეზიდენტობამ პოლიტიკური წონა არ შემატა?***

– რა თქმა უნდა, შემატა იმ გაგებით, რომ ყველასთვის ცნობადი გახდა. ვინ იცნობდა მარგველაშვილს, ძალიან ვიწრო წრის გარდა, სანამ კენჭი არ იყარა. ივანიშვილი გვერდით დაუდგა მას და თქვა, რომ ის იყო უალტერნატივო კანდიდატი. მარგველაშვილმა თქვა, დღეიდან რასაც მე და ბიძინა გეტყვით, ის არის ჭეშმარიტება და ხალხს იმის კეთება მოუწევსო (გახსოვთ, ეს საოცარი განცხადება, მთელი სკანდალი იყო). ამის შემდეგ ის პრეზიდენტად აირჩიეს. პრეზიდენტს კი აქვს ჩვენს ქვეყანაში 100%-იანი ცნობადობა. სხვა საქმეა, თავისი რეალური რეიტინგი რა არის. ძალიან ცნობადები იყვნენ უსუფაშვილი და ხიდაშელი, მაგრამ ცოლ-ქმარმა ხიდაშელებმა და მთელმა დანარჩენმა პარტიამ პროცენტნახევარი ხმები შეაგროვეს.

***– ანუ მარგველაშვილი თუ გადაწყვეტს მეორე ვადით კენჭისყრას, მაგრამ პარტია, ან ისეთი ძლიერი ფიგურა არ ედგება გვერდით, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, ვერ მოიპოვებს ხმების იმ რაოდენობას, რომ პრეზიდენტი გახდეს?***

– მიმაჩნია, რომ მარგველაშვილი ვერ მიიღებს ხმებს მეორე ვადით პრეზიდენტობისთვის. ხალხში ვერ მოიპოვა პოპულარობა, ღარიბაშვილს მეტი პოპულარობა ჰქონდა. მარგველაშვილი თუ ვინმეს ახსენდება, მისი მრავალფეროვანი და მდიდარი სექსით.

***– ღარიბაშვილი შეიძლება იყოს მომავალი პრეზიდენტი?***

– ეს ერთხელ ივანიშვილმა თქვა.

***– ეს მარგველაშვილის წისქვილზე არასხამს წყალს.***

– ლაპარაკიც ზედმეტია. იმ კრიტიკის შემდეგ „ოცნებიდან“ მარგველაშვილს მხარს არავინ დაუჭერს. თუ კონსტიტუციით წარდგენის წესი შეიცვალა, სადაც „ოცნებას“ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატიც კი ვერ იქნება.


**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კობა გვენეტაძე: „აქციზის გადასახადის გაზრდა ზოგიერთ საქონელს გააძვირებს“

## „ამის გავლენა წლიურ ინფლაციაზე მნიშვნელოვანი არ იქნება“



– მიუხედავად იმისა, რომ აქციზის გადასახადის ზრდა გამოიწვევს ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების გაძვირებას, აღნიშნული ზრდის პირდაპირი გავლენა წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი არ იქნება.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც მან 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მოსაზრებები წარმოადგინა.

გვენეტაძის თქმით, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 9,489 მილიონი ლარით განისაზღვრება, აქედან 8,820 მილიონი ლარი მოდის საგადასახადო შემოსავლებზე, ხოლო 669 მილიონი ლარი – არასაგადასახადო შემოსავლებზე.

– სულ სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2016 წლის გეგმასთან შედარებით, 10.5%-ით იზრდება. 2017 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა მშპ-ის საპროგნოზო ოდენობასთან 24.5%-ს უტოლდება. საგადასახადო შემოსავლების მატება ძირითადად აქციზის გადასახადზე მოდის, რაც დაკავშირებულია 2017 წელს ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოსა და ავტომობილებზე აქციზის გადასახადის დაგეგმილ ზრდასთან.

გეგმის მიხედვით, მცირდება მოგების გადასახადიდან შემოსულობები, რაც დაკავშირებულია მოგების რეინვესტირებული ნაწილის დაბეგვრისგან გათავისუფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ აქციზის გადასახადის ზრდა გამოიწვევს ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების გაძვირებას, ჩვენი შეფასებით, აღნიშნული ზრდის პირდაპირი გავლენა წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი არ იქნება.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აქციზური საქონლის გაძვირება გაზრდის ინფლაციის მოლოდინებს, ეროვნული ბანკი მოახდენს რეაგირებას და უზრუნველყოფს ინფლაციის შენარჩუნებას მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს, – განაცხადა გვენეტაძემ.

მისივე თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 10,804 მილიონ ლარს შეადგენს, აქედან მიმდინარე ხარჯებზე 9,121 მილიონი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებსა და წმინდა დაკრედიტებაზე 1,683 მილიონი ლარია განსაზღვრული.

– სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2016 წლის ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით 1,194 მილიონი ლარით იზრდება. ზრდა შეეხო როგორც მიმდინარე (578 მლნ ლარი), ასევე კაპიტალურ ხარჯებს (616 მლნ ლარი). 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 1,315 მილიონ ლარს შეადგენს.

ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2017 წელს მშპ-ს საპროგნოზო ოდენობის 4.1%-ზეა დაგეგმილი. წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ბიუჯეტის დეფიციტის ეტაპობრივ შემცირებას 2020 წლისთვის 2.5%-მდე.

იმ დაშვებით, რომ საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტი უბრუნდება მდგრად დონეს, 2017 წელს ბიუჯეტის საპროგნოზო დეფიციტი საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის რისკებს არ ქმნის.

თუმცა, ვალის მდგრადობის და ფისკალური სტაბილურის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ მომდევნო წლებში არ მოხდეს ფისკალური კონსოლიდაციის წარმოდგენილი გეგმიდან გადახვევა, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

**ბიპიენი**

# რომან გოცირიძე: „ოცნების“ პროგრამა უკვე დასაფლავდა“



– ის „ოცნების“ პროგრამა, რაც არის წარმოდგენილი, უკვე დასაფლავდა. ეს არის ოცნებების სასაფლაო. ლარმა ითამაშა მესაფლავის როლი.

ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

გოცირიძის თქმით, გაუფასურებული ლარი დეზორგანიზაციას ნიშნავს.

– როდესაც ეროვნული ვალუტა ასეთი მასშტაბებით უფასურდება ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ვინმეს რამე გეგმები აქვს, უნდა გადაუსვას ხაზი. აბსოლუტურად სხვა რეალობის წინაშე დგება ქვეყანა და ხალხიც.

ბიუჯეტი ლარის ცვლილების პირობებში უკვე არის გადასაგდები ქაღალდი, რადგან სხვა ტიპის ხარჯებს მოითხოვს ის. გაუფასურებული ლარი ნიშნავს დეზორგანიზაციას ოჯახებში, ქვეყანაში, აზროვნებაში. გუშინ განაცხადეთ, რომ ამ ბიუჯეტს მივყავართ ტაძრისკეს და მინდა მათ ვკითხო, კი მაგრამ, ტაძრამდე რომ მივალთ, სანთელი რა ეღირება?. ლარის კურსი რა იქნება მაშინ?

სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, ის „ოცნების“ პროგრამა, რაც არის წარმოდგენილი, უკვე დასაფლავდა. ეს არის ოცნებების სასაფლაო. ლარმა ითამაშა მესაფლავის როლი, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

# რა გახდა სუპერმარკეტ „ფურშეტის“ ფილიალის დაცარიელების მიზეზი?



სოციალურ ქსელ ფეისბუქზე გავრცელდა ფოტოები, რომელთა თანახმადაც, გლდანში სავაჭრო ქსელის „ფურშეტის“ ფილიალი დაცარიელებულია.

როგორც ბიზნესპრესნიუსს ფურშეტის მარკეტინგის მენეჯერმა გიორგი მარიდაშვილმა განუცხადა, ფილიალებში პროდუქტის სიმცირე ნოემბრიდან შეიქმნა, მას შემდეგ, რაც „ფურშეტის“ შესაძლო დახურვაზე ერთ-ერთი დისტრიბუტორი კომპანიის მხრიდან, რომელსაც ქსელთან არანაირი შეხება არ აქვს, ინფორმაცია გავრცელდა.

როგორც მარიდაშვილი აღნიშნავს, ნოემბრის დასაწყისიდან მიმწოდებელი კომპანიების მხრიდან საჩივრების პროცესი დაიწყო, რომლებიც არსებული დავალიანების დაბრუნებას ითხოვდნენ. შედეგად კომპანიას დაახლოებით, 200 ათას ლარზე დაედო ყადაღა. მისივე თქმით, იმედოვნებენ, რომ ფილიალებში შექმნილი მდგომარეობა ახალი წლისთვის გამოსწორდება.

– „ფურშეტი“ არ იხურება. პირიქით, მომავალი წლიდან დამატებით რამდენიმე ობიექტის გახსნასაც ვგეგმავთ. რაც შეეხება გავრცელებულ ფოტოებს, ეს მდგომარეობა გამოწვეულია ქსელის დახურვასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციით, რის შემდეგაც მომწოდებელი კომპანიების მხრიდან საჩივრების პროცესი დაიწყო და კომპანიამ მნიშვნელოვანი ზარალი ნახა. თუმცა, პროდუქციის სიმცირე განსაკუთრებით სწორედ გლდანის ფილიალში შეიმჩნევა, რადგან აქ უფრო მეტი ხალხია და პროდუქტი უფრო სწრაფად მოძრაობს. სხვა ფილიალებში კი ეს პროცესი შედარებით ნაკლებად შეიმჩნევა, – ამბობს მარიდაშვილი.

მისივე თქმით, რამდენიმე თვის წინ კომპანიას მენეჯმენტი შეეცვალა. შედეგად „ფურშეტი“ მიმართულებას იცვლის და დისქაუნტერის კატეგორიაში გადადის. რაც იმას ნიშნავს, რომ ქსელში წარმოდგენილი პროდუქცია შემცირდება და მხოლოდ სამომხმარებლო კალათში შემავალი პროდუქცია იქნება წარმოდგენილი, რომელსაც ბაზარზე ყველაზე დაბალი ფასი ექნება.

– ქსელში წარმოდგენილი სასაქონლე ნომენკლატურა შემცირდება, მაგრამ პროდუქტები რაც იქნება წარმოდგენილი, ყველაზე იაფი ეღირება. სამომავლოდ კომპანია ორიენტირებული იქნება სამომხმარებლო კალათში შემავალი პროდუქტების ჯგუფებსა და ქვეჯგუფებზე. ბრინჯი, ზეთი, შაქარი, ფქვილი, სასმელები და სხვა პროდუქტი დაახლოებით 15-35%-ით უფრო ნაკლები ეღირება, ვიდრე სხვა ქსელებში.

ეს ყველაფერი მოხდება იმის ხარჯზე, რომ ბრენდის ღირებულება ჩამოცლილი ექნება პროდუქტს. მაგალითად, იქნება ჩვეულებრივი სიგარეტი, მაგრამ არ იქნება „ვინსტონის“ ბრენდით, არამედ ამ ბრენდის გარეშე, რის გამოც უფრო იაფი ეღირება, – ამბობს „ფურშეტის“ მარკეტინგის მენეჯერი.

ამ ეტაპზე დაგეგმილი ცვლილებების შედეგად, არსებული ფილიალებისა და დასაქმებულთა შემცირებაზე „ფურშეტში“ ვერ საუბრობენ, თუმცა მარიდაშვილმა აღნიშნა, რომ მაღაზიების მოცულობა იმხელა, რამხელაც დღეს არის, აღარ იქნება.

მისივე ცნობით, ასეთი ტიპის მაღაზიებისთვის დაახლოებით, 200 კვ. მეტრის ფართობია საჭირო.

**ბიპიენი**

# ენგურჰესისა და ვარდნილჰესის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი გაძვირდა

ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი გაძვირდა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გადაწყვეტილება სხდომაზე გუშინ, 14 დეკემბერს, მიიღო.

სემეკში ჩატარებულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ენგურჰესის მიერ გამომუშავებული 1 კვტ.სთ ელექტროენერგია 1,189-დან, 1,496 თეთრამდე გაიზარდა.

ტარიფები მნიშვნელოვნად გაიზარდა ვარდნილჰესის კასკადის შემთხვევაში და 1 კილოვატ საათი ელექტროენერგია 1,17 თეთრის ნაცვლად, 2,88 თეთრი ეღირება.

შპს ენგურჰესისათვის ელექტროენერგიის წარმოების 2017 წლის ტარიფის დადგენასთან დაკავშირებით კომისიამ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარე წლის 26 აგვისტოს დაიწყო. ვარდნილჰესთან დაკავშირებით კი – 3 ნოემბერს.

აღნიშნული ტარიფები ძალაში 2017 წლის პირველი იანვრიდან შევა.

ვარდნილჰესისა და ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილი მთლიან გენერაციაში დაახლოებით 39%-ს შეადგენს.

2016 წლის იანვარ-ოქტომბერში ენგურჰესმა გამოიმუშავა 3086,7 მლნ/კვტ/სთ, ვარდნილჰესის კასკადებმა კი – 565.4 მლნ/კვტ/სთ.

ამავე პერიოდში ქვეყანაში მთლიანად გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ 9388.9 მლნ/კვტ/სთ შეადგინა.



# ლარი გაუფასურდა



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.6604 ლარია. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.6599 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0005 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.8301 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.8222 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0079 ლარი შეადგინა.

# თამბაქოზე ფასმა 20–30 თეთრით მოიმატა

## ზოგიერთი ბრენდის სიგარეტს სავაჭრო ობიექტები შეზღუდულად იღებენ

სავაჭრო ობიექტებში სიგარეტი უკვე 20-30 თეთრით გაძვირდა.

ამ დროისთვის ბაზარზე 1 კოლოფი ფილტრიანი სიგარეტი დაახლოებით 2-4 ლარი ღირს. ამასთან, როგორც „კომერსანტს“ სავაჭრო ობიექტებში განუცხადეს, ზოგიერთი სიგარეტი მათთან შეზღუდული რაოდენობით შედის, თუმცა ამ ფაქტს იმპორტიორები უარყოფენ.

– თითქმის ყველა სიგარეტი გაძვირდა. ზოგიერთი ბრენდის სიგარეტს კი შეზღუდული რაოდენობით ვიღებთ. თუ ადრე ერთი დასახელების სიგარეტს მთლიანი ყუთით ვიღებდით, ახლა რამდენიმე ბლოკი მოაქვთ. როდესაც ვიკითხეთ, თუ რატომ, კონკრეტული პასუხი დისტრიბუტორებისგან არ მიგვიღია, – განუცხადეს „კომერსანტს“ თბილისში მოქმედ თამბაქოს სარეალიზაციო პუნქტებში.

საპირისპიროს ამტკიცებს თამბაქოს იმპორტიორების ერთი ნაწილი.

როგორც კომპანიებში აცხადებენ, სიგარეტზე ფასები არ გაუძვირებიათ და აქციზის მომატებამდე ფასის ზრდას არც აპირებენ. იმპორტიორების თქმით, ლარის გაუფასურების ფონზე ფასის შენარჩუნებას რეზერვების ხარჯზე ახერხებენ.



შპს „გეო დისტრიბუციაში“, რომელიც სიგარეტ პირველს აწარმოებს, აცხადებენ, რომ სანამ თამბაქოზე აქციზი არ მოიმატებს, მათთან ფასი უცვლელი დარჩება. როგორც დირექტორის ასისტენტმა სანდრო სულაბერიძემ „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, პირველის ფასი ამჟამად უცვლელია, თუმცა სამომავლოდ გაძვირებას აპირებენ. რამდენი თეთრით გაძვირდება პირველის ბრენდის სიგარეტი, ჯერ უცნობია.

– სანამ თამბაქოზე აქციზი არ მოემატება ჩვენთან ფასი უცვლელი დარჩება, ამ ნიშნულს დეკემბრის ბოლომდე შევინარჩუნებთ. დღეს პირველს სხვადასხვა ფასები აქვს. ამჟამად ყველაზე პოპულარულია „იმპერი“ და მისი ფასი 2,10 ლარია, „პრემიუმი“ 2,20 ლარი ღირს. ჩვენი ფასები ძირითადად ორ ლარზე ზევითაა. აქციზის გაზრდის შემდგომ პირველის ფასებიც მოიმატებს. რამდენითაც გაიზრდება აქციზი, იმდენით გავაძვირებთ თამბაქოზე ფასს, ამ მხრივ აქციზზე ვართ დამოკიდებულები.

ახლა ჩვენთან ფასების შენარჩუნება რეზერვების ხარჯზე ხდება. ლარის გაუფასურებაზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებულები, ამისთვის ჯერჯერობით მარაგები გვაქვს. როდესაც ახალი წარმოება დაიწყება, ლარის გაუფასურება შემდგომ უკვე იმოქმედებს, – განაცხადა სანდრო სულაბერიძემ.

◆ ◆ ◆

„ფილიპ მორისის“ კორპორატიული განყოფილების ხელმძღვანელ ნონა მამულაშვილის განცხადებით, ის ფაქტი, რომ მარლბორო ჯიხურებში შეზღუდული რაოდენობით შედის და მასზე დეფიციტია, სიმართლეს არ შეესაბამება.

მამულაშვილის თქმით, მათ პროდუქციაზე ფასები ამჟამად უცვლელია.

– ჩვენი პროდუქცია არ გაძვირებულა. მარლბოროს დეფიციტთან დაკავშირებით ინფორმაცია საიდან გაქვთ, არ ვიცი, რადგან აბსოლუტურად არანაირი პრობლემა არ არსებობს. ჩვენამდე ეს ინფორმაცია არ მოსულა. როდესაც აქციზი 60%-ით იზრდება, შესაბამისად, თამბაქოს ფასი ემატება. აქციზის ზრდა ფასის მომატების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, – აღნიშნა მამულაშვილმა.

◆ ◆ ◆

„ელიზი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის თემურ ნადირაშვილის თქმით, მათ მიერ შემოტანილი სიგარეტი სობრანიე 20 თეთრით გაძვირდა და ახლა 3,70 ლარი ღირს.

– ჩვენმა სიგარეტმა 20 თეთრით მოიმატა. მაგალითად, სობრანიე გაძვირებამდე სავაჭრო ობიექტებში 3,50 ღირდა, ხოლო ახლა 3,70 ღირს. აქციზის მომატების შემდგომ რამდენი თეთრით გაძვირდება სიგარეტი, ამას ვერ გეტყვით, რადგან ღირებულებაზე ლარის კურსიც მოქმედებს. თუმცა ფასის მომატებას მაინც ორივე მათგანი განაპირობებს, – განაცხადა თემურ ნადირაშვილმა.

◆ ◆ ◆

შეგახსენებთ, რომ 2017 წლიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ფასი გაიზრდება და 1 იანვრიდან საქართველოში სიგარეტი გაძვირდება.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, კოლოფ სიგარეტზე აქციზური მარკა, რომელიც ამ დროისთვის 1.1 ლარი ღირს, 60 თეთრით გაძვირდება. შესაბამისად, მომავალ წელს სიგარეტის ღირებულება მინიმუმ 60 თეთრით მოიმატებს.

მთავრობის ვარაუდით, ამით საბიუჯეტო შემოსავლები 190-200 მილიონი ლარით გაიზრდება.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# გივი თარგამაძე: ახალი არაფერი გამიგია, მთავარი კითხვები დამრჩა



გუშინ, 14 დეკემბერს, ნაციონალური მოძრაობის ერთ ერთი ლიდერი, გივი თარგამაძე, თბილისის პროკურატურაში დაიკითხა.

როგორც გივი თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქმის მასალების ნაწილს გაეცნო, თუმცა მისთვის ახალი არაფერი ყოფილა.

გივი თარგამაძე მანქანის აფეთქების საქმეზე ტერაქტის კვალიფიკაციის მინიჭებას ისევ ითხოვს.

— გავეცანით საქმის ნაწილს. კიდევ მოგვიწევს მოსვლა, მაგრამ ახლაც შემიძლია ვთქვა, რომ ახალი არაფერი გამიგია. დაგვრჩა მთავარი კითხვა, რატომ არ აძლევენ საქმეს ტერაქტის კვალიფიკაციას, როცა ხალხმრავალ ადგილას მოხდა და ისეთი ტიპის ასაფეთქებლით, რომელიც მიზნად ისახავდა ბევრი ხალხის დაზიანებას. გაუხსნელი მკვლელობები აქვს ამ ხელისუფლებას, გაუხსნელი ტერაქტი ჯერ არ ჰქონია და ამიტომაც ერიდებიან ამ კვალიფიკაციის მიცემას, — აღნიშნა გივი თარგამაძემ.

მისი თქმით, ისევ უცნობი რჩება, რა მოტივი ჰქონდა გამოძიების მიერ დამნაშავედ გამოცხადებული პირის მიერ მისი ლიკვიდაციის მცდელობას.

— მეორე საკითხი მოტივს ეხება — ამ ადამიანს არ ჰქონდა არანაირი მოტივი, მოტივის გარეშე კი დანაშაულის გახსნილად გამოცხადება თავისთავად აბსურდია. წინასაარჩევნოდ, უცებ მოუნდა ამ ადამიანს ჩემი მოკვლა.

თავად გამოძიების მასალებიდან დასტურდება, რომ დამნაშავე არ ყოფილა მარტო. სხვა პირი თუ პირები ჯერაც არ არის დადგენილი. არანაირი მინიშნება არ არის, დავით ხეჩუაშვილს მართლა აქვს საქართველოს ტერიტორია დატოვებული თუ არა. ეს კითხვა კიდევ უნდა გავიმეორო, რაზე დაყრდნობით განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომ მან დატოვა საქართველო. ძირითადი კითხვები დარჩა კითხვებად, თუმცა ჩვენ ბოლომდე გავეცნობით საქმის მასალებს, — აღნიშნა გივი თარგამაძემ.

თარგამაძე ადვოკატთან ერთად თბილისის პროკურატურაში დაკითხვაზე ოთხი საათის განმავლობაში იმყოფებოდა. საქმე ეხება გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებას.

## ფარული ჩანაწერების საქმეზე ზურაბ ჯამალაშვილი დაიკითხა



ფარული ჩანაწერების საქმეზე, რომელზეც ბრალი კუდი-ს ყოფილ მაღალჩინოსნებს, მათ შორის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის ყოფილ მოადგილე ვასილ ლელუაშვილს აქვს წარდგენილი, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების მოპოვება-შენახვაში ბრალდებული ზურაბ ჯამალაშვილი დაიკითხა.

ჯამალაშვილს ბრალი სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით აქვს წაყენებული. როგორც დაკითხვის შემდეგ ჯამალაშვილმა აღნიშნა, მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ დაიბარა პროკურორმა დაკითხვაზე, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე მას არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია.

— დამისვეს კითხვები, ვიცნობდი თუ არა ბრალდებულებს, რაზეც მე ვუპასუხე, რომ არ ვიცნობდი და მათ შესახებ გაგებული მაქვს მხოლოდ ტელევიზორით. მე არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია იმაზე, მოხდა თუ არა მათი მხრიდან რაიმე ჩანაწერების მოპოვება და თუ მოხდა, როგორ, — განაცხადა ზურაბ ჯამალაშვილმა.

გუშინდელ პროცესზე ასევე ჟურნალისტი ელისო კილაძე და მისი რედაქციის თანამშრომლები დაიკითხნენ.

## მაია რჩეულიშვილი კვლავ სამოქალაქო საავადმყოფოში რჩება



ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მაია რჩეულიშვილი კვლავ სამოქალაქო საავადმყოფოში რჩება

ამის შესახებ ინტრეპრესნიუსს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განუცხადეს.

უწყებაში ვერ აკონკრეტებენ, რამდენი ხნის განმავლობაში დარჩება რჩეულიშვილი საავადმყოფოში გამოკვლევების ჩატარების მიზნით.

მაია რჩეულიშვილის ადვოკატ მარიამ ცუცქირიძის ინფორმაციით, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს კომპლექსური გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება.

— მაია რჩეულიშვილს გარკვეული გამოკვლევები უკვე ჩაუტარდა, თუმცა დეტალებზე საუბარი ნაადრევია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია, — განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატი ვარაუდობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სამოქალაქო საავადმყოფოში გამოკვლევების ჩატარების მიზნით კვირის ბოლომდე დარჩება.

## პროკურორი რომან შამათავასთვის გამამტყუნებელ განაჩენს ითხოვს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის რომან შამათავას საქმის განხილვა დასკვნით ეტაპზეა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდება დასკვნითი სიტყვით გამოვიდა და სატყეო დეპარტამენტის მეტყევერეინჯერ დათო ცინდელიანისა და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოფიცრის პაატა ქარდავასთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და განზრახ მკვლელობის გამო, რომან შამათავას წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

როგორც პროკურორმა გიორგი კავსაძემ აღნიშნა, სახელმწიფო ბრალდებამ სასამართლოს უტყუარი მტკიცებულებები წარუდგინა იმის დასადასტურებლად, რომ კუდის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა აღნიშნული დანაშაულები ჩაიდინა.

სასამართლო პროცესი 19 დეკემბერს გაგრძელდება, სადაც დასკვნითი სიტყვით უკვე დაცვის მხარე წარდგება.




საბოლოო სიტყვით შესაძლოა თავად ბრალდებულმა რომან შამათავამაც ისარგებლოს, რის შემდეგაც მოსამართლე განაჩენის გამოსატანად სათათბიროდ გავა.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს რომან შამათავას ბრალად სატყეო დეპარტამენტის მეტყევე-რეინჯერ დათო ცინდელიანისა და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოფიცრის პაატა ქარდავასთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და განზრახ მკვლელობა ედება.

გამოძიების ინფორმაციით, შამათავამ ცინდელიანს 2008 წლის 16 აგვისტოს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა, რის შემდეგაც ბათუმში, ზღვაში ნავით გაიყვანა, თავში გასროლით მოკლა, კვალის დაფარვის მიზნით ცხედარს მძიმე საგანი გამოაბა და ზღვაში ჩააგდო.

ბრალდების თანახმად, ანალოგიური ქმედებით შამათავამ 2008 წლის 27 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოფიცერი პაატა ქარდავა მოკლა და მისი ცხედარიც ზღვაში ჩააგდო.

გამოძიების ინფორმაციით კუდის აფხაზეთის სამმართველოს ყოფილი უფროსი ცინდელიანს და ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა.

## შსს-მ „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ხ.ა. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ბაზალეთის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალი დააყაჩაღა, საიდანაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თანხა გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

მისი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული საშუალება, ხოლო პირადი ჩხრეკისას — გატაცებული თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს.

## გრემში სატვირთო 19 წლის ახალგაზრდებს დაეჯახა




ყვარლის რაიონის სოფელ გრემში „გაზ-66“ მარკის სატვირთო 19 წლის ქვეითად მოსიარულე ახალგაზრდებს დაეჯახა.

მძიმეა ერთ-ერთი დაშავებულის მდგომარეობა, ის მრავლობითი დაზიანებებით თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია მოთავსებული.

პოლიციამ მძღოლი უკვე დააკავა.

როგორც ნიუპოსტს უწყებაში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ხუთ საჯარო სკოლაში სწავლა ორშაბათამდე შეწყდა




საქართველოს ხუთ საჯარო სკოლაში სწავლის პროცესი მომდევნო სამი დღით შეწყდა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, სწავლის პროცესი შეწყდა იმ სკოლებში, სადაც გრიპის ვირუსის გამო გაცდენებმა 20%-ს გადააჭარბა.

კერძოდ კი, ესენია თბილისის 74-ე, თელავის მე-5 და თიანეთის სამი საჯარო სკოლა.

როგორც „მედიანიუსს“ უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, გაცდენილ სასწავლო დღეებს მოსწავლეები შაბათი დღეების ხარჯზე აანაზღაურებენ.

* * *

ჯანდაცვის სამინისტრო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მონიტორინგის გამკაცრებას იწყებს. როგორც სამინისტროში განმარტავენ, მონიტორინგის გამკაცრება ვირუსული დაავადების მიმართვიანობის გაზრდამ გამოიწვია.

იმ შემთხვევაში, თუ გაცდენების რიცხვი 40% გადააჭარბებს, სასწავლო პროცესი 3 დღით შეჩერდება.

— თბილისის მასშტაბით შერჩეულია 4 საოჯახო ცენტრი და პოლიკლინიკა, რომლებიც პირველ რიგში გააკეთებენ რეაგირებას გრიპის ვირუსთან დაკავშირებულ ზარებზე. ამის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, პროცესში ჩაერთვება სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. გახშირებული შემთხვევების შემთხვევაში აუცილებელი იქნება ალბათ სასწავლო პროცესის გარკვეული დროით შეჩერება, — განუცხადა ჟურნალისტებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა სოფრომაძემ.

**მედიანიუსი**

## შემოსავლების სამსახურმა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონები აღმოაჩინა

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა სადახლოსა და ვალეში არადეკლარირებული ძვირფასი ლითონები აღმოაჩინეს.



როგორც ინტერპრესნიუსს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 9-10 დეკემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ვალე“ და „სადახლო-საავტომობილო“, მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტები გამოავლინეს.

კერძოდ, სგპ „ვალეში“ აღმოჩენილი ოქროს საიუველირო ნაკეთობების წონამ 85,05 გრამი შეადგინა. საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ გამოვლენილი არადეკლარირებული ოქროსა (56,23 გრ.) და ვერცხლის (8,49 გრ.) ნაკეთობების საერთო საბაჟო ღირებულებამ 5,618.71 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 5.618,71 ლარის ოდენობით შეეფარდა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ალეპო: მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ




სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენელმა ზიაიდმა განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება ალეპოში ცეცხლის შეწყვეტისა და ევაკუაციის შესახებ. ალეპოს დატოვებს როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა, ასევე ის შეიარაღებული რაზმებიც, რომლებიც ბასარ ასადის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

# ერაყელ დისიდენტებს სახაროვის სახელობის პრემია მიანიჭეს



ერაყელ დისიდენტებს ნადია მურადს და ლამი ჰაჯი ბასარს სახაროვის სახელობის პრემია მიანიჭეს.

ორივე ქალი ძალადობის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა. ამის გამო ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა ისინი მოიტაცეს. ორივემ ტყვეობასა და დამცირებაში საკმაო ხანს დაჰყო. მიუხედავად ამისა, ქალები არ გატყდნენ და ძალადობის წინააღმდეგ ძველებური შემართებით ილაშქრებდნენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ჯონ მაკეინი: „არასოდეს მივიღებდი ჯილდოს პუტინისგან“



სენატორმა ჯონ მაკეინმა რადიო ინტერვიუში განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივნის პოსტზე წარდგენილი რექს ტილერსონისგან განსხვავებით, ის არასოდეს მიიღებდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისგან ჯილდოს.

— მე გამაჩნია ლეგიტიმური შეშფოთება ტილერსონთან დაკავშირებით. უკრაინაში მომხდარი მოვლენების შემდეგ ის შეეწინააღმდეგა რუსეთზე დაწესებულ სანქციებს. მას ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს ვლადიმერ პუტინთან. სხვათა შორის, ის ვლადიმერ პუტინმა დააჯილდოვა. ეს ძალიან მაშფოთებს, — განაცხადა ჯონ მაკეინმა.

— გულახდილად გეტყვით, არასოდეს მივიღებდი ჯილდოს ვლადიმერ პუტინისგან, ვინაიდან ამით ამ ყასაბს, კაგებეს აგენტს, სანდოობით აღვჭურავთ, — აღნიშნა ამერიკელ სენატორმა.

— სიმართლე გითხრათ, სანქციების წინააღმდეგ გამოდიოდე მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინი უკრაინაში შეიჭრა და მას ყირიმი წაართვა, ჩემში ეს იწვევს ზნეობასთან დაკავშირებულ კითხვებს, — დასძინა ჯონ მაკეინმა.

2013 წელს პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რექს ტილერსონი მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა, რომელიც მას პირადად გადასცა.

# პარიზის ტერაქტის ორგანიზატორები ლიკვიდირებულნი არიან



აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სირიის ტერიტორიაზე პარიზის ტერაქტის ორგანიზატორთა ლიკვიდაცია განხორციელდა.

ჯურმა და ჯუდუ მოკლეს.

ოპერაცია აშშ-ის სპეცრაზმის მიერ იქნა განხორციელებული.

# ფინელები ძაღლებს მგლებისგან წიწაკით დაიცავენ



ძაღლები, რომლებიც ფინეთის ქალაქ ნურმესში ბინადრობენ, მგლებისგან დასაცავად სპეციალური ჩასაცმელით ივლიან.

შინაურ ცხოველებს ჩააცმევენ ჟილეტებს, რომლებიც ჩილის წიწაკის ფხვნილით იქნება გაჯერებული. კბენის შემთხვევაში წიწაკის ფხვნილი მტაცებლის ცხვირსა და პირში აღმოჩნდება, ეს კი წესით საკმარისი იქნება მის შესაშინებლად.

ჟილეტის შემქმნელი იუსი არო დაახლოებით ათი წელია მუშაობს მგლებთან ბრძოლის არალეტალური საშუალებების შექმნაზე. მან ქალაქი ნურმესი იმის გამო შეარჩია საკუთარი გამოგონების გამოსაცდელად, რომამ ქალაქის მახლობლად მგლების პოპულაცია განსაკუთრებულად მაღალია.

მიმდინარე წელს მგლებმა 32 ძაღლი იმსხვერპლეს. ადგილობრივ მცხოვრებლებს ბავშვებისა და შინაური პირუტყვის ქუჩაში გაშვების ეშინიათ.

# მომღიმარი ძაღლი პოპულარობას იხვეჭს



ნიუიორკელი ძაღლი, თავისი მომღიმარი სახის გამო, სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. მისი სურათები სოციალურ ქსელ ინსტაგრამში ქვეყნდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 12 წლის წინ ძაღლი, სახელად ბრინკსი, ქუჩიდან აიყვანა ჯონ ბოზაკმა. ამერიკელმა მაშინვე შენიშნა ცხოველის სახის უჩვეულო გამომეტყველება, რომელიც ღიმილს წააგავდა. ის სოციალურ ქსელში რეგულარულად აქვეყნებს ძაღლის ფოტოებს.

— ბრინკსი ძილშიც კი იღიმება, ის მეტად განსაკუთრებული ძაღლია, — განაცხადა ბოზაკმა.

# ნახევრად შიშველმა კანადელებმა ფეისბუქიდან ეროტიკული სურათების წაშლა გააპროტესტეს



კანადის ქალაქ კელოუნის მცხოვრებმა 30-მა ნახევრად შიშველმა ქალმა მონაწილეობა მიიღო ფოტოსესიაში, რათა საკუთარი პროტესტი გამოხატონ სოციალური ქსელის ფეისბუქის ადმინისტრაციის მიერ ეროტიკული ფოტოსურათების წაშლის გამო.

ქალებმა სხეულზე მიიწებეს ბაფთები წარწერით „ცენზურა“ და ასე დაიფარეს მკერდი და სხეულის ინტიმური ნაწილები.

ფოტოგრაფისა და პროექტის შემქმნელის ტრინ ქერის თქმით, მას მობეზრდა, რომ მის ეროტიკული სტილის ნამუშევრებს რეგულარულად შლიან მისი საკუთარი გვერდიდან. ის ძირითადად სურათებს შიშველ ქალებს უღებს და სურს, რომ საკუთარი შემოქმედება სოციალური ქსელით გააზიაროს. ამასთან კანადელი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მისი ნამუშევრების წაშლისა, სხვა ეროტიული ან სასტიკი შინაარსის სურათები ფეისბუქზე რჩება.

ამით ფოტოგრაფს სურდა მიენიშნებინა სოციალური ქსელის ორმაგ სტანდარტებზე, როდესაც ის საკუთარ თავს სურათების წაშლის უფლებას აძლევს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

კალეიდოსკოპი

# ობამას ჩინელი ორეული კარიერის გაგრძელებას აპირებს



ჩინელი მსახიობი, რომელმაც სახელი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან გარეგნული მსგავსებით გაითქვა, იმედოვნებს, რომ კარიერის გაგრძელებას ამერიკელი პოლიტიკოსის თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგაც შეძლებს.

პირველად 30 წლის სიაო ცზიგო ტელევიზიაში ობამას სახით 2012 წელს გამოჩნდა. ამის შემდეგ მან სოციალურ ქსელებში სახელი გაითქვა და პოპულარობა მოიხვეჭა. მან რამდენიმე პლასტიკური ოპერაციაც გაიკეთა, რომ მსგავსება კიდევ უფრო აშკარა გამხდარიყო.

ჩინელის პოპულარობას საფრთხე ემუქრება, ვინაიდან მომავალი წლის იანვრიდან ობამა პრეზიდენტის თანამდებობას რესპუბლიკელ დონალდ ტრამპს დაუთმობს. ცზიგოს იმედი აქვს, რომ აშშ-ის პრეზიდენტის სახის სხვა როლებით შეცვლა არ მოუწევს.

# რუმინელმა მეხანძრემ ძაღლი ხელოვნური სუნთქვით გადაარჩინა



რუმინელმა მეხანძრემ გადაარჩინა ძაღლი, რომელიც სულისმხუთავი გაზით მოიწამლა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. სამ დღეში ის 2,2 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

გავრცელებული ინფორმაციით, მეხანძრემ ძაღლს გულის არაპირდაპირი მასაჟი გაუკეთა, ასევე ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა და ჟანგბადის ნიღაბი გაუკეთა. ვიდეორგოლს 2,4 ათასზე მეტმა ადამიანმა კომენტარი გაუკეთა და მათმა დიდმა უმრავლესობამ მეხანძრეს გმირი უწოდა.

## განცხადებები

### მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მეტოქეები ცნობილია



უეფას შტაბ-ბინაში 2017-18 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა (17 და 19-წლამდე ასაკის საფეხბურთო ნაკრებების) გაიმართა.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრები მე-13 ჯგუფში მოხვდა იტალიასთან, ლატვიასა და მონტენეგროსთან ერთად. ჯგუფიდან 2 საუკეთესო გუნდი მოიპოვებს ელიტ-რაუნდის საგზურს. ტურნირი 2017 წლის 24-30 ოქტომბერს გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოახერხა მისი მასპინძლობის უფლების მოპოვება.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრების კანდიდატები ამჟამად ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" გადიან შეკრებას და 16 და 19 დეკემბერს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ აზერბაიჯანთან.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრები მე-11 ჯგუფში მოხვდა საფრანგეთთან, ბოსნიასა და ანდორასთან ერთად. ტურნირი 2017 წლის 8-14 ნოემბერს გაიმართება და ბოსნია-ჰერცეგოვინა უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელთა ახლანდელ თაობას ზაფხულში 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ელის, რომელიც საქართველოში გაიმართება.

# ჩემპიონთა ლიგის სიმბოლური ნაკრები




უეფას ვებგვერდზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრები გამოქვეყნდა. ალსანიშნავია, რომ სიმბოლურში ვერ მოხვდა წლის საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ, ხოლო დაასახელეს ისეთი ფეხბურთელებიც, რომელთა გუნდებმაც ჯგუფური ეტაპის გადალახვა ვერ მოახერხეს.

მაშ ასე, ჩემპიონთა ლიგის პირველი 6 ტურის სიმბოლური ნაკრები შემდეგნაირია:

**მეკარე:** იან ობლაკი (ატლეტიკო)

**მცველები:** მატიას იორგენსენი (კოპენჰაგენი), სერხიო ესკუდერო (სევილია), ლუდვი აუგუსტუნსონი (კოპენჰაგენი)

**ნახევარმცველები:** მესუტ იოზილი (არსენალი), ანდრე სილვა (პორტუ), რიდ მარეზი (ლესტერი), რიკარდო კვარეჟმა (ბეშიქთაში)

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (ბარსელონა), ედინსონ კავანი (პარი სენ ჟერმენი), დრის მერტენსი (ნაპოლი).

# გარი ნევილი: „მოურინიოს მანჩესტერი ვან გაალის გუნდს სჯობია"



მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი მცველი და „სკაი სპორტსის" ექსპერტი გარი ნევილი აცხადებს, რომ ლუი ვან გაალის გუნდს, რომელმაც გასულ სეზონში იმაზე 5 ქულით მეტი აიღო, ვიდრე მიმდინარე სეზონში, მაინც ჟოზე მოურინიოს იუნაიტედს ამჯობინებს.

**გარი ნევილი:**

– ვიცი, რომ ჟოზე მოურინიოს ბოლო კვირებში პერიოდულად აკრიტიკებდნენ. როცა ვერ იმარჯვებ, ამბობ, რომ გუნდი კარგად თამაშობს და გამარჯვებები მოვა, მაგრამ ეს არ ხდება, მწვრთნელი სულელად გამოდის. და როგორც უკვე მოგახსენეთ, გუნდი წელს უფრო მომწონს, ვიდრე შარშან მომწონდა, იმის ფონზეც კი, რომ უფრო ნაკლები ქულა აიღეს. უფრო მომწონს მათი თამაშის სტილი. მომწონს ჰენრიხ მხითარიანი, მომწონს მარსიალის თამაში ფლანგზე ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, მომწონს, რომ გუნდი სწრაფად ბრუნდება უკან.

გუნდს ჰყავს ცენტრალური თავდამსხმელი, რომელსაც ბურთი უჭირავს, მობილური ნახევარდაცვა ცივსისხლიანი კერიკისა და წინ წაწეული ერერა-პოგბას წყვილით. ეს გუნდი უკეთესად დაბალანსებულია და მიუხედავად იმისა, რომ ქაღალდზე მათი დაცვის ოთხეული საიმედოდ არ გამოიყურება, ძალიან, ძალიან კარგად თამაშობენ. ბოლო რამდენიმე კვირაში მარკოს როხო და ფილ ჯონსი მართლაც კარგები იყვნენ.

ჟოზეს გარკვეული პრობლემები ჰქონდა დაცვის ამ ხაზთან დაკავშირებით, მაგრამ გუნდური თამაშის თვალსაზრისით გაცილებით მეტად მომწონან, ვიდრე შარშან. მომწონან, როგორც მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივარს. ახლა წინ უნდა იარონ, ეს მატჩი საფუძვლად გამოიყენონ და მატჩი მატჩზე მოიგონ. როგორც იქნა, შეუძლიათ იმ შედეგის მიღება, რომელიც თავიანთი თამაშით დაიმსახურებს.

# რუსთავმა მოიგო და სამეულში დამკვიდრდა



**რუსთავი-სოხუმი 86:78**

(22:23, 24:23, 20:18, 20:14)

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის მე-8 ტურის გადადებული მატჩი რუსთავსა და სოხუმს შორის, რომელიც 2 დეკემბერს უნდა გამართულიყო, მოგვიანებით ჩატარდა და სატურნირო ცხრილშიც გუნდები ჩატარებული მატჩები გათანაბრდნენ.

ქვემოქართლურმა გუნდმა სოხუმელებს უმასპინძლა და ბოლო პერიოდში გამოჩენილი სიზუსტის ხარჯზე იმარჯვა – 86:78.

მატჩი ძალიან თანაბარი იყო, განსაკუთრებით მისი საწყისი 3 პერიოდი. ბოლო მეოთხედამდე არც ერთი გუნდის ლიდერობა 5 ქულას არ ასცილებია. შეიძლება ითქვას, რომ ქულაქულაში თამაში მიდიოდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ლიდერი 9-ჯერ შეიცვალა, ხოლო თანაბარი ანგარიში 11-ჯერ დაფიქსირდა.

პირველი პერიოდი სოხუმელებმა 23:22 მოიგეს, ხოლო მეორეში უკვე მასპინძლებმა იმარჯვეს ქულით და დიდ შესვენებაზე გუნდები თანაბრად გავიდნენ – 46:46. ვერც მესამე პერიოდში მოიპოვა რომელიმე გუნდმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა და როცა ბოლო ათწუთეული დაიწყო, რუსთაველებს მხოლოდ 2-ქულიანი ლიდერობა ჰქონდათ.

გადამწყვეტ მომენტში მასპინძლებმა იძალეს, რომლებმაც შორი სროლებითა და კარგი დაცვით მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

რუსთაველთა შორის 24 ქულით ბომბარდირი გახდა ამერიკელი ლეგიონერი ჩარლი ლი, რომელმაც ასევე 6 ჩაჭრა, 6 მოხსნა და 4 პასიც მიითვალა. 19 ქულით გამოირჩა გიგი გოგობერიშვილი, ქეისი კასპერბაუერის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა. სოხუმში 23 ქულით დუეინ ლათანი, ხოლო 15 ქულით ოთარ ბულიავა გამოირჩნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 10 | 10 | 0 | 880-712 | 20 |
| 2.ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 827-763 | 18 |
| 3.რუსთავი | 10 | 7 | 3 | 799-793 | 17 |
| 4.კაკტუსი | 10 | 5 | 5 | 817-850 | 15 |
| 5.ბათუმი | 10 | 5 | 5 | 783-751 | 15 |
| 6.ოლიმპი | 10 | 2 | 8 | 676-697 | 12 |
| 7.სოხუმი | 10 | 2 | 8 | 818-907 | 12 |
| 8.მგზავრები | 10 | 1 | 9 | 709-836 | 11 |

# ლევანდოვსკიმ ბაიერნთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



მიუნხენის ბაიერნის გულშემატკივრებისთვის ძალიან სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა – ბავარიული გრანდის პოლონელმა ვარსკვლავმა რობერტ ლევანდოვსკიმ ბაიერნთან მიმდინარე კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ამ საკითხზე ბოლოს ძალიან ბევრი საუბარი მიდიოდა და, როგორც იქნა, ბოლო მოეღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ლევანდოვსკიმ ბაიერნთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა. შესაბამისად ბავარიელთა ცხრიანი კლუბში 2021 წლის 30 ივნისამდე დარჩება.

რობერტ ლევანდოვსკი:

– ძალიან ბედნიერი ვარ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების გამო, ბაიერნში კიდევ რამდენიმე წლით დავრჩები და ვეცდები კლუბთან უმაღლეს მიზნებს მივაღწიო. ეს კლუბი, ეს ქალაქი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ავიხდინო ყველა ჩემი საფეხბურთო ოცნება, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, აქ დარჩენა მომდევნო წლების განმავლობაში. მჯერა, რომ უახლოეს მომავალში სახელი ლევანდოვსკი სამუდამოდ ჩაიწერება ამ დიდებული კლუბის ისტორიაში.

პოლონელის ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ბაიერნის გენერალურმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემაც:

– ძალიან ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის შენარჩუნება შევძელით, დიდებული ამბავია, რომ ასეთი დონის თავდამსხმელი ჩვენი კლუბის მაისურს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ატარებს.

გასულ ზაფხულში პოლონელს არაერთი საფეხბურთო გამოცემა ძალიან აქტიურად უკავშირებდა მადრიდულ კლუბს, თუმცა ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა.

რობერტ ლევანდოვსკი მიუნხენის ბაიერნს 2014 წლის ზაფხულში დორტმუნდის ბორუსიიდან შეუერთდა და მას შემდეგ ბავარიული კლუბის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, ამაზე მისი სტატისტიკაც მეტყველებს, პოლონელმა „წითელი" მაისურით ჩატარებულ 122 დაპირისპირებაში 85 გოლის გატანა შეძლო. ალსანიშნავია, რომ ული ჰიონესის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების შემდეგ რობერტი გახდა მეორე ფეხბურთელი (ფრანკ რიბერის შემდეგ), რომელმაც კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახლა ჯერი არიენ რობენზეა...

# პეპე მელი: „ოქროს ბურთის მნიშვნელობა გაითავისეთ"



კატალონიის ბარსელონას ყოფილმა ნახევარმცველმა, ჩავი ერნანდესმა, რომელიც ამჟამად ალ სადის ღირსებას იცავს, ისაუბრა იმის შესახებ, თუ რამდენად დამსახურებულად მოიგო კრიშტიანუ რონალდომ „ოქროს ბურთი". როგორც ირკვევა, ესპანელი ლეგენდა პორტუგალიის ნაკრების კაპიტანს წლის საუკეთესო ფეხბურთელად არ მიიჩნევს.

**ჩავი:**

– რონალდომ ოქროს ბურთი მოიგო, რადგან ფეხბურთელებს მოპოვებული ტიტულების გამო აჯილდოვებენ. ყოფილა შემთხვევებიც, როცა სიტუაცია სხვაგვარად წარიმართა – პრიზი გადასცეს მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშეს. ლიონელ მესი საუკეთესოა, მიუხედავად იმისა, რომ სხვამ ტიტულების მოპოვება შეძლო.

გაცილებით ადეკვატურად იმსჯელა ბეტისის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, პეპე მელმა კრიშტიანუ რონალდოსა და კატალონიის ბარსელონას ლიდერ, ლიონელ მესის შორის პარალელი გაავლო. სპეციალისტმა „ოქროს ბურთის" თემაზეც გააკეთა კომენტარი.

**პეპე მელი:**

– რონალდო საუკეთესო თავდამსხმელია, ვინც კი ოდესმე მინახავს. ამის უარყოფა შეუძლებელია. ის მეორე სართულზე შესანიშნავად თამაშობს, ორივე ფეხით ურტყამს და ძალიან ძლიერია. ლიონელ მესი მსოფლიოში ნომერ პირველი ფეხბურთელია. ჩვენ ყველას გვსურს, რომ მისნაირები ვიყოთ. არგენტინელს მოთამაშის საუკეთესო თვისებების გაერთიანების საოცარი ნიჭი აქვს.

„ოქროს ბურთი"? ვფიქრობ, ამ პრიზის მნიშვნელობა ხალხს კარგად არ ესმის, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ჯილდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს გადაეცემა. რეალურად, ეს არის პრიზი იმისთვის, ვინც ყველაზე წარმატებული წელი ჩაატარა. მათ ჯილდოს სახელი უნდა შეცვალონ.

# შაპეკოენსეს დაღუპული მეკარე ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა




ავიაკატასტროფაში მოყოლილი ბრაზილიური შაპეკოენსეს მეკარე დანილომ გულშემატკივართა გამოკითხვაში პირველი ადგილი დაიკავა.

დანილომ ბრაზილიელი გულშემატკივრების ხმათა 48% მიიღო და წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მფლობელი გახდა. ჯილდო ფეხბურთელის დედამ, ილაიდა პადილიამ მიიღო.

დანილო შაპეკოენსეს ერთ-ერთი ლიდერი იყო და სწორედ მისი სეივების დამსახურებაა, რომ მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე ბრაზილიური კლუბი კოპა სუდამერიკანას ფინალში გავიდა. შაპეკოენსეს მეკარე კოლუმბიურ მედელინთან მომხდარ ავიაკატასტროფას გადაურჩა, თუმცა, სამწუხაროდ, საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

ბრაზილიაში წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჟურნალისტებმაც გამოავლინეს. მედიის წარმომადგენელთა ვერსიით, საუკეთესო პალმეირასის შემტევი გაბრიელ ჟეზუსი გახდა, რომელიც ზამთარში მანჩესტერ სიტიში გადავა.

# შედეგები

**13 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-ლესტერი ..................... 1:0

ევერტონი-არსენალი ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 15 | 12 | 1 | 2 | 33-11 | 37 |
| 2.არსენალი | 16 | 10 | 4 | 2 | 37-17 | 34 |
| 3.ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 37-20 | 31 |
| 4.სიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 32-19 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 15 | 7 | 6 | 2 | 24-11 | 27 |
| 6.მანჩესტერი | 15 | 6 | 6 | 3 | 20-16 | 24 |
| 7.ევერტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 21-20 | 23 |
| 8.ბორნმუთი | 16 | 6 | 3 | 7 | 22-25 | 21 |
| 9.უოტფორდი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-26 | 21 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 15 | 5 | 5 | 5 | 20-18 | 20 |
| 11.საუთჰემპტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 14-15 | 20 |
| 12.სტოკი | 15 | 5 | 4 | 6 | 17-22 | 19 |
| 13.ბარნლი | 15 | 5 | 2 | 8 | 15-25 | 17 |
| 14.ლესტერი | 16 | 4 | 4 | 8 | 21-27 | 16 |
| 15.კრ.პალასი | 15 | 4 | 3 | 8 | 27-29 | 15 |
| 16.მიდლსბრო | 15 | 3 | 6 | 6 | 13-16 | 15 |
| 17.ვესტ ჰემი | 15 | 3 | 4 | 8 | 17-31 | 13 |
| 18.სუონსი | 15 | 3 | 3 | 9 | 19-31 | 12 |
| 19.ჰალი | 15 | 3 | 3 | 9 | 14-32 | 12 |
| 20.სანდერლენდი | 15 | 3 | 2 | 10 | 14-27 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბარტონი-ჰადერსფილდი .............. 0:1

ბირმინგემი-იფსვიჩი ..................... 2:1

ბლექბერნი-ბრაიტონი .................. 2:3

ბრისტოლი-ბრენტფორდი ............ 0:1

კარდიფი-ვულვზი ......................... 2:1

ლიდსი-რედინგი ........................... 2:0

ნორვიჩი-ასტონ ვილა ................... 1:0

ფულემი-როტერჰემი ..................... 2:1

უენსდი-ბარნსლი ......................... 2:0

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ენტელა ........................... 2:1

**საფრანგეთი. თასი**

ნანტი-მონპელიე ........................... 3:1

სოშო-მარსელი ................... 1:1 (4:3პ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ჰამილტონი .................... 1:0

**ბელგია. თასი**

ეუპენი-კორტრაიკი ....................... 4:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ მოვუაროთ ყელს

ეკა ირემაშვილი

ლარინგიტი ანთებითი პროცესია, რომელიც ყელს აზიანებს. არსებობს ლარინგიტის ორი ფორმა – მწვავე ლარინგიტი და ქრონიკული ლარინგიტი.

დაავადების გამომწვევი მიზეზებია გრიპი, ასევე გაციების სხვადასხვა ფორმები, პნევმონია, ბრონქიტი, ალერგიული რეაქციები. არსებობს დამატებით ფაქტორებიც, რომლებსაც შეუძლიათ ლარინგიტის გამოწვევა – სამუშაო ადგილის მტვრიანობა, სახლში ან სამსახურში ცხელი და მშრალი ჰაერი, ცხვირით სუნთქვის პრობლემები და იოგების დაძაბვა.

ქრონიკული ლარინგიტი უმეტესწილად ჩნდება გრიპისა და გაციების არასწორი მკურნალობის შედეგად. მისი სიმპტომებია ტკივილი ყლაპვის დროს, სუნთქვის გართულება, ყელის სიმშრალე, მშრალი ან სველი ხველა, ხმის შეცვლა, საერთო მდგომარეობის გართულება ან ტემპერატურის აწევა.

დაავადების დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია ექიმი-ოტოლარინგოლოგის კონსულტაცია, რომელიც პაციენტს უტარებს ლარინგოსკოპიას, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს, ზედა სასუნთქი გზების სისველის და გამონადენის გამოკვლევას.

ექიმები მწვავე ლარინგიტის სამკურნალოდ ნიშნავენ ინჰალაციას, ყელის გამორეცხვას ბალახეული და მედიკამენტების ხსნარებით, თბილი სითხის მიღებას.

ლარინგიტისთვის არასათანადო ყურადღების მიქცევამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხორხის ხვრელის შევიწროვება და ხმის დაკარგვაც კი.

იმისთვის, რომ ლარინგიტი არ გართულდეს, სპეციალისტები გვირჩევენ ჰიგიენის ნორმების დაცვას, გრიპისა და გაციების დროულად მკურნალობას, გაკაჟებას, ორგანიზმის დაცვას გადაციებისგან და სიცივეში ყელის თბილად ქონას.

**ლარინგიტის მკურნალობის მეთოდზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ოტო-რინო-ლარინგოლოგი ბეჟან ხელაშვილი საუბრობს.**



– ლარინგიტი ხორხის ანთებაა. სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებულია, რომ 90%-ში გართულება მოყვება რეფლუქსს. რეფლუქსი ე.წ. გულძმარვა კუჭიდან ამოსული სითხეა, რომელიც არის მჟავა. ხორხში მჟავა გარემოს ქმნის და „იწვება". დამწვრობის შემდეგ კი ხორხის ანთება იწყება, რაც იწვევს ხორხის ლორწოვანის შეშუპებას, ამ დროს ლორწოს გამონადენი უფრო შესქელებულია. თავის მხრივ, შეშუპება და შესქელებული ლორწო ხორხში უცხო სხეულის შეგრძნებას, ანუ დისკომფორტს იწვევს. ეს ყველაფერი ერთად კი გადაყლაპვის საშუალებას ართულებს და ადამიანს ხველის განცდა უჩნდება.

საყურადღებოა ისიც, რომ კუჭის სიმჟავე სოკოს განვითარებას უწყობს ხელს. ამიტომაც მკურნალობის პირველივე ეტაპზე საჭიროა ჩაერთოს გასტროენტეროლოგი, რომელიც კუჭ-ნაწლავის პრობლემებს მოაგვარებს და ამის შემდეგ დაავადების სამკურნალოდ სხვადასხვა პრეპარატის გამოყენება იწყება. ანთებითი პროცესის ჩასაწყნარებლად ვიყენებთ როგორც ქიმიურ, ასევე მცენარეულ პრეპარატებს.

გარდა რეფლუქსისა, ლარინგიტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი ცხოვრების წესი – ცხარემჟავე კერძები, გაზიანი სასმელები, ცხელი ჩაი, ყავა, საკვები. ცხელი საკვებისა და სასმელის მიღებით მექანიკური დამწვრობა ვითარდება. მშობლებს ხშირად ჰგონიათ, რომ თუ ბავშვს ყელი სტკივა, ცხელი რძე უნდა დაალევინონ. ცხელი არაფერი შეიძლება! მოერიდეთ ძალიან ცივსაც. შეეცადეთ, მავნე ჩვევები შეზღუდოთ.

საჭიროა, ყურადღება გავამახვილოთ ხმოვან იოგებზე, რომელზეც სხვადასხვა სახის წანაზარდები წარმოიქმნება. ამას შეიძლება ჰქონდეს პროფესიული მიზეზები. მსგავსი სიმპტომები გვხვდება პედაგოგებსა და მომღერლებში, რომელთაც ხშირად უწევთ ხმამაღლა სიმღერა და საუბარი. პირველ ეტაპზე ხმის ტემბრის ცვლილებები ხდება. ასეთ ვითარებაში საქმეში უნდა ჩაერთოს ფონიატრი, რომელმაც მათ ხმის ტემბრის სწორი მართვა, დატვირთვა უნდა ასწავლოს. თუ იოგებზე წამონაზარდი მაინც წარმოიქმნა, ასეთ დროს საჭირო ხდება ენდოსკოპიური გამოკვლევა.

***– რისგან ჩნდება ანგინა?***

– ანგინის წარმოქმნისთვის ბევრი მიზეზი არსებობს. პირველი ადგილი ისევ და ისევ ცხვირს უკავია. როცა ადამიანს ცხვირით სუნთქვა უჭირს, პირს აშველებს. პირით ჰაერის შეშვების დროს კი ბრონქებამდე ჩასვლისას, პირველი ბარიერი ნუშურა ჯირკვალია, ის იღებს პირველ დარტყმას. სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში პროცენტულად ნუშურა ჯირკვლის ოპერაციის უფრო მეტი რაოდენობა კეთდება და ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს. საქართველოში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში სერიოზული ეკოლოგიური პრობლემაა. ამის გამო, ძალიან ბევრ ადამიანს ცხვირით სუნთქვა უჭირს. მთელი ეს დაბინძურებული ჰაერი, თავისი ბაქტერიებით, ვირუსებით ნუშურა ჯირკვალზე ხვდება, რომელსაც თავისი რეზერვი აქვს. რაღაც დონეზე შეიძლება გაუძლოს, მაგრამ შემდეგ ორგანიზმი ველარ ერევა ბაქტერიას, სტრეპტოკოკის ბაქტერია სისხლში გადადის და ვლინდება ზოგადი ინტოქსიკაცია.

ადამიანები ფიქრობენ, რომ ქრონიკული დეკომპენსირებული ტონზილიტი ლოკალური პრობლემაა. ინტოქსიკაციის დროს, სტრეპტოკოკი გადადის სისხლში და აღწევს სხვადასხვა ორგანოში, მათ შორის გულში, თირკმელებში, სახსრებში და ა.შ. შესაძლებელია ამ დროს განვითარდეს ისეთი დაავადებები, როგორიცაა ენდოკარდიტი, თირკმლის უკმარისობა, რევმატიზმი, რევმატიული ართრიტები. ამ უკმარისობების პრევენციის მიზნით ტარდება ნუშურა ჯირკვლების ამოკვეთა.

***– არანაკლებ საყურადღებოა ადენოიდები. ყველაზე ხშირად რა ასაკის ბავშვებში ვლინდება?***

– ადენოიდი ქსოვილია, რომელიც გარდატეხის ასაკში „იწოვება" და ქრება. ბავშვი, ან მშობელი ადენოიდით ზედმეტად შეწუხებული თუ არ არის, ვცდილობთ ხელი არ ვახლოთ, რადგან ესეც ბარიერს წარმოადგენს. ის ლიმფოიდური ქსოვილია და იმუნური სისტემის შექმნაში იღებს მონაწილეობას, ასევე ხელოვნური ბარიერის ფუნქციასაც ითავსებს. უნდა გვახსოვდეს, რომ მედიცინა პრიორიტეტების დარგია. ჩვენს პრიორიტეტს ის წარმოადგენს, რომ ადამიანმა ცხვირით შეისუნთქოს და ორგანიზმმა სათანადო რაოდენობის ჟანგბადი მიიღოს. თუ ადენოიდი იმდენადაა გადიდებული, რომ სავალს კეტავს და ამ დროს ბავშვებს სუნთქვის შეჩერება ახასიათებთ, მაშინ რეკომენდებულია ადენოტომია. პრიორიტეტულია, ადენოიდი პატარა იყოს და ამისთვის, ადენოტომიას ვაკეთებთ.

თუ ბავშვმა რაღაც ასაკი გადალახა, მოზარდია, მაგრამ ეს პრობლემა მაინც აწუხებს, სუნთქვის გაძნელებას ადენოიდს ნუ დააბრალებთ, რადგან 99%-ში მათ ცხვირში აღარ აქვთ ადენოიდი, პრობლემა სხვა რამეში უნდა ვეძებოთ. რაც შეეხება საოპერაციო ასაკს, გამოკვეთილი ტენდენცია არ არსებობს. თუ ოპერაცია საჭიროა, უნდა გაკეთდეს, ასეთ დროს ასაკს მნიშვნელობა აღარ აქვს.

***სპორტი***

# ბრაზილიელი ოსკარი ჩინურ გუნდში გადადის



ჩელსის ბრაზილიელი ნახევარმცველი ოსკარი ზამთარში კლუბს შეიცვლის და კარიერას ჩინურ შანხაი ტელეიში გააგრძელებს.

ამის შესახებ ინფორმაცია ინგლისურ პრესაში გავრცელდა.

ოსკარის ჩელსიდან წასვლა გასაკვირი არ არის, რადგან ბოლო პერიოდში ის იშვიათად ხვდებოდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და სხვა კლუბში გადასვლის სურვილს არ მალავდა.

ჩინეთში ოსკარს ძალიან მაღალი ანაზღაურება ექნება, თუმცა ის მაღალ დონეზე ველარ იასპარეზებს.

ჩელსიში ოსკარი 2012 წელს გადავიდა და მას შემდეგ ამ გუნდის მაისურით 130 შეხვედრა ჩაატარა და 22 გოლის გატანა შეძლო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# გვარდიოლას დრო სჭირდება




მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ აღნიშნა, რომ ის პირველი არაა, ვისაც ინგლისში ჩემპიონატში მოსვლის შემდეგ პრობლემები შეექმნა. ესპანელის განცხადებით, მას გუნდთან მუშაობისთვის გარკვეული დრო სჭირდება.

**პეპ გვარდიოლა:**

– თვით სერ ალექს ფერგიუსონს, რომელიც ჩემი კერპია, დასჭირდა დრო, რათა ინგლისის ჩემპიონატისთვის ალღო აეღო და გუნდისთვის წარმატება მოეტანა. კიდევ ერთი კარგი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ რთულია პრემიერლიგა, ლივერპულია. ამ საოცრად დიდი ისტორიის მქონე კლუბს ჯერ პრემიერლიგა არ მოუგია. გამონაკლისი არ ვარ, ინგლისში მუშაობა ყველას უჭირს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ვფიქრობ, შედეგი მექნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

ლემონჯავების საგვარეულო აღნიშნავს,
რომ პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორის, გამორჩეულ მოგვარეს, ცნობილ
მეცნიერსა და მოღვაწეს, გვარის წინამძღოლს

**პარმენ ლემონჯავას**

უსრულდება დაბადებიდან 80 წელი.
ულოცავს მას და მის ოჯახს საიუბილეო თარიღს.
უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და დიდ
წარმატებებს როგორც პირად,
ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

*ლემონჯავების საგვარეულო*

# ასტროპროგნოზი
## 15 დეკემბრისათვის



**ვერძი** – იაქტიურეთ. ნუ მოდუნდებით. ეცადეთ, აიმაღლოთ კვალიფიკაცია. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **კურო** – მეგობრების საქმეში ნუ ჩაერევით. საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ტყუპები** – შესაძლოა, სამსახური შეიცვალოთ, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას საკმაოდ გააუმჯობესებს. ახალი საქმის დაწყების ნუ შეგეშინდებათ. **კირჩხიბი** – დღეს ყველა პრობლემას მოაგვარებთ. მთავარია, თავდაჯერებულად იმოქმედოთ. **ლომი** – ნებისმიერ გაუგებრობას თავიდან აიცილებთ. გეგმების რეალიზება არ გაგიჭირდებათ. **ქალწული** – იმისათვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოთ, თავი არ დაზოგოთ. საჭიროების შემთხვევაში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. **სასწორი** – იყავით მამაცი, პრინციპული. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება წარმატების საწინდარია. **ღრიანკალი** – გარშემომყოფთა აგრესიას მშვიდად შეხვდით. ემოციები აკონტროლეთ. დღის მეორე ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი შესაძლებლობები კრიტიკულად გააანალიზეთ. დღეს უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **თხის რქა** – მიზნის მისაღწევად მთელი შინაგანი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **მერწყული** – ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს მეტი ყურადღება მიაქციეთ. ნუ გადაიღლებით. მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება. საქმიან პარტნიორებთან და კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. ქართველი მეცნიერი, გეოდეზიის სკოლის ფუძემდებელი საქართველოში; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 11. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 12. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 16. რძის შაქარი; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე, რუხი-მოწითალო ფერის სითხე; 22. პურეული მცენარე.

**თარაზულად:** 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 8. ამერიკელ მწერალ, სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 10. პოეტური ქმნილება; 13. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი, მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 21. ბეწვიანი ცხვრის ტყავისგან შეკერილი ქუდი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ვერდი; 2. ტიბრი; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ინსტინქტი; 14. მატიე; 16. „არიბა"; 18. კრაკოვი; 20. სარდელი; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

**თარაზულად**: 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. ონისე; 15. ატომი; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. „პასტორალი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მასანდრა; 2. რამპა; 3. დეკანატი; 4. რინერი; 7. ტესლა; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ოლანდი; 15. დარბაზი; 17. „ჰეზბოლა"; 20. სიათა.

**თარაზულად**: 5. საგურამო; 6. გრეგორი; 8. ჰიპოგეა; 10. კალაჰარი; 11. „კრისტი"; 13. კლიენტი; 16. ვილჰელმი; 18. „მედეა"; 19. ურანი; 21. „მინდია"; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

# პაატა ბურჭულაძე სცენაზე დაბრუნდა



საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე ხანმოკლე პაუზის შემდეგ სცენაზე დაბრუნდა.

მისი პირველი გამოსვლა ლონდონის სამეფო თეატრში შედგება, სადაც მონატრებულ აუდიტორიას დონ კარლოსით შეხვდება.

პოლიტიკიდან წასვლისა და ხელოვნებაში დაბრუნების შესახებ განცხადება პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის" ლიდერმა თავად გააკეთა.

ჭადრაკის სასახლეში ჩატარებულ პარტიის ყრილობაზე პაატა ბურჭულაძემ ასპარეზი ახალგაზრდა თაობას დაუთმო, თვითონ კი უცხოეთში წასვლის და საერთაშორისო კარიერის განახლების გადაწყვეტილება მიიღო.

# გიორგი ბახუტაშვილი ტელეწამყვანი გახდა



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი ტელეწამყვანი გახდა.

მსახიობი, რომელიც ფართო საზოგადოებამ სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები" გაიცნო, რუსთავი 2-დან წავიდა. ცოტნე ცოტაშვილის როლმა მას არნახული პოპულარობა მოუტანა, მაგრამ სერიალში პერსონაჟმა საკუთარი თავი ამოწურა და „ჩემი ცოლის დაქალების" ახალი სეზონი ცოტნეს გარეშე დაიწყო.

გიორგი ბახუტაშვილი ტელეკომპანია იმედში გადავიდა, სადაც შოუს „შენ შეგიძლია ცეკვა" წამყვანია. ის პარტნიორობას ეკა ამირეჯიბს უწევს, რომელიც ასევე რუსთავი 2-დან მოხვდა იმედში.

გიორგი ბახუტაშვილის დებიუტი მაყურებელმა გააკრიტიკა. უმრავლესობამ განაცხადა, რომ მსახიობი სცენას ძალიან უხდება, მაგრამ ლაპარაკის მანერა და ჟესტები დასახვეწი აქვს.

# საქველმოქმედო საღამო მამა თადეოზის დასახმარებლად

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში დაიგეგმა საქველმოქმედო საღამო მამა თადეოზის დასახმარებლად, რომელიც მოღვაწეობს ფშავ-ხევსურეთის ეპარ-




ქიაში. მამაოს დაუდგინდა მეოთხე სტადიის ფილტვის კიბო, რომელიც ხერხემალზეა გადასული. ოპერაციაზე უარი უთხრეს და სასწრაფოდ ესაჭიროება ქიმიოთერაპიის კურსი, რისთვისაც დიდი თანხაა საჭირო.

მამა თადეოზის დახმარების სურვილი გამოთქვეს ბელა ალანიამ, ანა ნოზაძემ, ზვიად ნავროზაშვილმა, ლაშა აბულაძემ, თორნიკე თოდრიამ, ნინო ახალაშვილმა, ბექა ხუციშვილმა, ბექა კეკელიამ, ხატია კუტივაძემ, დებმა ზვიადაურებმა, დებმა წიკლაურებმა, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლებმა „ლაზარე" და „იავნანა".

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



გია ჭუბაბრია, ნუკრი სანაძე, მერაბ კერესელიძე, ნუგზარ მაისურაძე, ივანე ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ბავშვობის მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება

**გურამ (ფაშა) ჯანიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნინო სურგულაძეს იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენი მიენიჭა



იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტონიმ, საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან ერთად, ქართველ საოპერო მომღერალ ნინო სურგულაძეს იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენი საზეიმოდ გადასცა.

ღონისძიება თბილისში, იტალიის ელჩის რეზიდენციაში ჩატარდა:

– ნინო სურგულაძე საქართველოს დესპანია იტალიაში და ამავდროულად იტალიის კულტურის დესპანია მთელ მსოფლიოში. მისი შემოქმედება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი მთელ მსოფლიოში ფართო საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. მაქვს პატივი და ბედნიერება, გადავცე ქალბატონ ნინო სურგულაძეს იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენი, რომელიც მას იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ იტალიასა და მის მშობლიურ ქვეყანას შორის კავშირების გაღრმავებისთვის მიანიჭა. ნინომ თავისი ტალანტი ბევრი ქართველი მომღერლის დარად იტალიაში, ლა სკალას აკადემიაში დახვეწა. ნინო საქართველოს კულტურის დესპანია იტალიაში და იტალიის კულტურის დესპანია მთელს მსოფლიოში. ნინო სურგულაძე თავისი წარმატების წყალობით ფართო საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა ფონდ „ნატვრის ხის" მეშვეობით, რომელიც ბავშვებსა და ახალგაზრდებს ეხმარება. ყველა ამ მითითებულ დამსახურებასთან დაკავშირებით, ნება მიბოძეთ გადავცე ქალბატონ ნინო სურგულაძეს იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენი. მინდა კიდევ ერთხელ მივესალმო კულტურისა და ჯანდაცვის მინისტრებს, რომელთა აქ დასწრება ნიშანდობლივია ნინოს მოღვაწეობიდან გამომდინარე. ასევე იტალიელი კარდიოქირურგების დელეგაციას, პროფესორ ვიტორიო ვანინის ხელმძღვანელობით, რომელიც თვეში ერთხელ ჩამოდის საქართველოში და უფასო ოპერაციებს უტარებს ქართველ ბავშვებს.

თავის მხრივ, ნინო სურგულაძემ მადლობა გადაუხადა იტალიის პრეზიდენტს და იტალიის საელჩოს საქართველოში. აღნიშნა, რომ მას ზუსტად იგივე ემოცია დაეუფლა, როგორიც 22 წლის ასაკში ლა სკალას სცენაზე პირველად გამოსვლისას:

– ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ჯილდოს მიღება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იტალიის პრეზიდენტს და იტალიის საელჩოს საქართველოში და იტალიელ ხალხს ამ ნდობისთვის. ეს ჯილდო და ჩემი გული მინდა თანაბრად გავუყო ყველა იმ ქართველსა და იტალიელს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნების ურთიერთობებში. კერძოდ, კულტურის, ბიზნესისა და დიპლომატიის სფეროების განვითარებაში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო იტალიის სრულუფლებიან ელჩს საქართველოში და მთელ საელჩოს, თითოეულ იტალიელს, რომელთაც ძალიან ბევრი გააკეთეს ჩვენი ბავშვების დასახმარებლად. იგივე ემოცია დამეუფლა, რაც მქონდა 22 წლის ასაკში, როდესაც პირველად გამოვედი ლა სკალას სცენაზე და ვიგრძენი დიდი პასუხისმგებლობა. ეს ჯილდო მიორმაგებს ამ გრძნობას და მაძლევს სამომავლოდ სტიმულს. კიდევ ერთხელ გამოვთქვამ სურვილს, რომ ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდეს. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს შესაძლებლობებშია.

# მარიამ კუბლაშვილი: „პირველად ვფიქრობ ამ ქვეყნიდან გაქცევას!"



„ცეკვავენ ვარსკვლავების" გამარჯვებული მარიამ კუბლაშვილი საქართველოდან გაქცევაზე ფიქრობს. ორი შვილის დედას ბიზნესის სფეროში შექმნილი რთული მდგომარეობა აშფოთებს. მას ორი ბიჭი ჰყავს – პირველი ქორწინებიდან არბი-გიორგი ჰყავს, მეორე ქორწინებიდან კი რამდენიმე თვის ალექსანდრე.

რუსთაველის თეატრის მსახიობის ლევან ხურციას მეუღლე ქვეყანაში შექმნილ გამოუვალ მდგომარეობაზე წუხს.

**მარიამ კუბლაშვილი:**

– ბიზნესი დაიძირა და დაიხრჩო ქვეყანაში! კატასტროფა ხდება და ამას ვინც ამ სფეროში არაა და დიდი ვალდებულებები არ აქვს ნაკისრი, ჯერ ვერ ხვდება... უბრალოდ, ლოგიკურად იცის, რა ცუდია, რაც ხდება... პირველად ვფიქრობ ამ ქვეყნიდან გაქცევას! გამოუვალი მდგომარეობაა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# ავსტრალიელმა თოჯინებს მაკიაჟი მოაშორა და გააუბრალოვა




ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა ბრატზის თოჯინებს სამოსი შეუცვალა და უმაკიაჟოდ წარმოადგინა.

მიმ ემოდსმა, ორი შვილის დედამ, მოისურვა, რომ სათამაშოები უფრო მეტად დამსგავსებოდნენ ნამდვილ გოგონებს. მან თოჯინებს კოსმეტიკა მოაშორა და გამოაწყო ისეთ ჩასაცმელში, რომელიც მათ არაბუნებრივ სიგამხდრეს დაფარავდა.

ჰემოდსი არჩევს ჩასაცმელებს და ვარცხნილობებს, რომლებიც უფრო მეტადაა მიახლოებული რეალურ ბავშვურ სახესთან.

– ეს არის საშუალება, დავანახოთ ბავშვებს, რომ მათ საკუთარი თავი უნდა უყვარდეთ ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, – განაცხადა ავსტრალიელმა ქალბატონმა.

# ოთხმეტრიანმა პითონმა კენგურუ გოლფის მოედანზე გადაყლაპა



ავსტრალიაში ოთხმეტრიანმა პითონმა კენგურუ გოლფის მოთამაშეთა თვალწინ გადაყლაპა. ამ ინფორმაციას ბიბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ინციდენტი ავსტრალიის კვისლენდის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა. თამაშის მონაწილეები გიგანტურ რეპტილიას, რომელიც მსხვილ კენგურუ-ვოლაბიზე იყო შემოხვეული, გოლფის მოედნის სწორ მონაკვეთზე გადააწყდნენ.

– ყველანი მეტად გაკვირვებულები ვიყავით, ეს ხომ არცთუ ჩვეულებრივი სანახაობაა, – განუცხადა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა სპორტსმენმა. მისი თქმით, პითონს დაახლოებით ხუთი წუთი დასჭირდა, რომ ჯერ გაეგუდა კენგურუ, შემდეგ კი ნანადირევი გადაეყლაპა. ამის შემდეგ გველი მდინარის დამშრალ კალაპოტში ჩავიდა და გაუჩინარდა.

მომხდარს გოლფის მოთამაშეები არ შეუშინებია და მათ თამაში გააგრძელეს. როგორც გოლფ-კლუბის წარმომადგენელმა განმარტა, ადგილობრივები პირველად არ აწყდებიან მოედანზე სხვადასხვა ცხოველებს და ამას დიდი ხანია შეეჩვივნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი 15 დეკემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **07.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.25 ფეხბურთი.** მსოფლიოს საკლუბო გუნდების ჩემპიონატის ნახევარფინალი (ტრიოკოპამადან) **16.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**კაენის აღზევება**" **02.00** "x სტუდია" **04.00** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**ვიცე მეფეები**" 2 ნაწ. **12.00** ტ/სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად** **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**სუპერ ფორსაჟი**" **02.00** მხ/ფ "**კლასელები იტალიურად**" **03.50** მხ/ფ "**ჩე: ნაწილი მეორე**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00**სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **00.00** მხ/ფ "**სამი მეფე**" **02.10** მხ/ფ "**შერლოკ ჰოლმსი – ჩრდილების თამაში**"

**06.15** სჯანი-"პაპო-ცეზარიზმი და ცეზარო-პაპიზმი" **06.40** პატერიკიიძულებით მტირალის შესახებ **06.45** ეპოქა და ადამიანები "ამბროსი ხელაია" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "დეკორატიული ხელოვნება" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "ბადრიჯნის მარაო კეცზე" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება-"ნაქარგობა" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ **19.40** პორტრეტები (ციკლური გადაცემა) **20.40** ძილი ნებისა "ბატი ტასიკო" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე (ციკლური გადაცემა) **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."სოდომი და გომორი" **22.20** ჩვენი საგანძური (ციკლური გადაცემა) **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ფართოა მდინარე**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 2.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6589 |
| ევრო | 2.8222 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3791 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3577 |

## ამინდის პროგნოზი 15 დეკემბრისთვის





## 13 დეკემბრიდან



სერია „ლიტერატურული ოდისეა“ წიგნი

უილიამ გოლდინგი

ბუზთა ბატონი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## იუმორი

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– დიდი ხანია შენი მეგობარი აღარ გამოჩენილა და რა მოუვიდა?

– ბოროტმა ჯადოქარმა მოაჯადოვა და დამწყვდეული ჰყავს.

– ცოლი მოიყვანა?

– ჰო.

●●●

სარა ქმარს ეკითხება:

– გძინავს?

– არა.

– აბა თვალები რატომ გაქვს დახუჭული?

– მხედველობის ეკონომიას ვაკეთებ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როცა მშია, სულ ცოლის მოყვანაზე ვფიქრობ.

– მერე, რატომ არ მოგყავს?

– რომ შევჭამ, მერე ვფიქრობ, რომ მშიერზე რა სულელური აზრები მომდის თავში.

●●●

ფსიქიატრიულის კომპიუტერებით აღჭურვის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. ამას სრულად ადასტურებს ინტერნეტში გაკეთებული კომენტარები.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ადრე ტყუილად ვიყავით იმის წინააღმდეგი, რომ ჩვენ გოგონას პირსინგი გაეკეთებინა.

– მართლა, რატომ?

– მას შემდეგ, რაც ცხვირში რგოლი გაიკეთა, დილით მისი საწოლიდან ადგომა გაცილებით გაადვილდა.

●●●

რესტორანში ოფიციანტი კლიენტს ეკითხება:

– რას მიირთმევთ, ბატონო?

– აი იმას, ის კაცი ფანჯარასთან მდგომ მაგიდასთან რომ მიირთმევს.

– ეგ შეუძლებელია, ბატონო, არ დათმობს...

●●●

ღამეა, ქუჩაში ქალი მიდის. გზას მარცხნივ მაღალი ღობე გასდევს, ღობის იქით მშენებლობაა. უცბად ქალს უკნიდან ესმის:

– გაჩერდი!

ქალი გაჩერდა.

– წაიკუზე!

ქალი წაიკუზა და უცნობს ეკითხება:

– საცვალი გავიხადო?

– რა ჯანდაბად მინდა შენი საცვალი, ღობეზე უნდა გადავძვრე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 15 დეკემბრიდან

ძმები გრიმები

ფიფქია




მაგარი ყდა,
64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სერია „ცამეტის“ წიგნი




9 დეკემბრიდან

აირა ლევინი

როზმარის შვილი

ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს

## 16 დეკემბრიდან

ნოდარ ასათიანი

საქართველოს ისტორია




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## სერხიო რამოსი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალს გამოტოვებს



მადრიდის რეალის ცენტრალური მცველი სერხიო რამოსი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალს გამოტოვებს.

რამოსს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, ამიტომ რეალის ექიმებმა ჩათვალეს, რომ უმჯობესია, მან დაისვენოს.

რეალი ნახევარფინალში ცნობილ მექსიკურ გუნდს, ამერიკას, დაუპირისპირდება, რომელიც თავის კონტინენტზე ერთ-ერთი უძლიერესია. შეხვედრა ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, თბილისის დროით 14.30 საათზე დაიწყება. რეალმა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2014 წელს უკვე მოიგო და ამჯერადაც ტურნირის ფავორიტია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მემფის დეპაი მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებს



მანჩესტერ იუნაიტედის ჰოლანდიელი ფორვარდი მემფის დეპაი ზამთარში გუნდს დატოვებს.

დეპაი ჟოზე მოურინიოს გეგმებში არ შედის და მისი წასვლა გადაწყვეტილი ამბავია. მემფისი მანჩესტერში დიდი იმედებით ჩავიდა, მაგრამ ინგლისში თავის პოვნა ვერ შეძლო და წლევანდელ სეზონში იშვიათად გამოდის მოედანზე.

დეპაის ყიდვა რამდენიმე კლუბს სურს, აქედან ყველაზე მეტად იტალიური რომა აქტიურობს, რომელიც მზად არის, მემფისის ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

რომას გარდა, ჰოლანდიელი ფეხბურთელის შეძენა ევერტონსაც სურს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჩვეულებრივმა ქალებმა ვიქტორია სიქრეთსის შოუ გაითამაშეს



ქალებმა, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მოდელები, ვიქტორია სიქრეთსის შოუ მოდების ჩვენება გაითამაშეს, რომელიც მიმდინარე წლის 30 ნოემბერს პარიზში გაიმართა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა და ის უკვე ორ მილიონამდე ადამიანმა ნახა.

ქალებს ამგვარად სურდათ წარმოეჩინათ სხვადასხვა ტიპის სხეულის აგებულება და ამგვარად წაეხალისებინათ ის ქალები, რომლებიც მოდელის პარამეტრებით არ გამოირჩევიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბრიტანული არაყი; 2. ვეგეტატიური უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. მამლების ჩხუბი; 4. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 5. იაპონური ჭიდაობა; 6. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. უნგრული ღვინო; 16. ფალიაშვილის ოპერა; 18. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 20. თაბახის, წიგნის ზომა; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სოხუმის ძველი სახელწოდება; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. კაკბის, გნოლის, ხოხბის ბარტყი.

**შვეულად:** 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. დიდი ძეგლი; 12. კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 13. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. ვაშლის ღვინო; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 21. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ანსამბლი; 22. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

